გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№16 (911) 24 - 25 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დიტო ბელოევანი გვ. 2

ბოთლები, ჩქარა!

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

კოკა გუნცაძის კართან ნაციონალების რიგი დგას!

მფარველობდნენ თუ არა მიხეილ სააკაშვილის მამა, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა ინვესტორ თამაზ მჭედლიძეს

გვ. 6-7

რეალური მიზეზი, რის გამოც „წავკისელი ფეოდალი“, დეპუტატი თემურ ფეიქრიშვილი მსოფლიოში ცნობილ ქართველ ექიმს ებრძვის

იულიადან ვანომდე

რა ჩაიფიქრა კგბ-მ და რა უხარიათ ნაციონალებს

გვ. 3

გია ხუროშვილი ირაკლი შიხიაშვილს ფულის გათეთრებაში ამხელს

საბურთალოს რაიონის გამგებელი „ოცნებაში“ პორტირებული ნაციონალების წინააღმდეგ ევროპარლამენტის კომიტეტში საჩივრის შეტანას გეგმავს

გვ. 5

რატომ შევიდა უკანა კარიდან, რა კითხვები აქვთ ქუთაისელებს და რა ხდებოდა გიორგი მარგველაშვილის წლიური ანგარიშის დროს პარლამენტის შენობასთან

სვამდნენ თუ არა ძველად ქართულ სუფრაზე პატრიარქის სადღეგრძელოს

გვ. 9

დიტო გელოვანი

მთელი ფაფა თავის თეფშზე რომ მოაქცია, კარლსონმა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ჭამა. ჭამა კი არა, ღმურძვლა. რამდენიმე წუთს სამზარეულოში პირის ისეთი წკლაპუნი იდგა, სხვას ვერაფერს გაიგონებდი. ასეა ხოლმე, როცა ვინმე ძალიან ხარბად სანსლავს ფაფას. „სამწუხაროდ, დეიდა ავგუსტას ხათრით შესაჭმელი აღარაფერი დარჩა, — კარლსონმა ხელისგულით მოიწმინდა ტუჩები, — მაგრამ, ამას რას ვხედავ! აქ, თურმე, ფუნთუშებიცაა! წყნარად, წყნარად, ძვირფასო დეიდა ავგუსტა, ყველაფერი კარგადაა, იცხოვრე მშვიდად შენს შორეულ ქალაქ ტუმბეში ან სადაც გინდა. მე კი, შენი ხათრით, ფაფის მაგიერ ორ ფუნთუშას შევჭამ. შეიძლება, სამიც შევჭამო... ან ოთხი... ან სულაც ხუთი“.

(ასტრიდ ლინდგრენი, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“)

ბოთლები, ჩქარა!

ხოლო ჩვენ ვისი ხათრით თუ ვის ჯინაზე ვჭამთ იმას, რისი არათუ ჭამა, ფეხის ჩადგმა, გადავლა ან გვერდით ჩავლა და დანახვაც რომ საზიზღრობაა? არ ვთქვათ, თითქოს ასე არ არის. არის. დარტყმა, არის! რა დაგვარტყეს ამისთანა, ჩეჩმა და საშაქარლამო ერთმანეთისგან რომ ვერ გაგვირჩევია! იქნებადა, არც დაურტყამს ვინმეს, იქნებ თვითონ მივარტყით თავი და მას შემდეგ ასე ვართ, დარტყმულები და როგორც დარტყმულს შეჰფერის, ვსხედვართ და, ეს მრავალხმიანობით განთქმული ხალხი ერთ ხმაში ვიმეორებთ: „სარტყელი მივირტყი, მოვირტყი, მორტყმული დავიარებით“.

მამალი დედალს რომ ჩინჩლავს, ეზოში საკენკს რომ გადმოყრიან, მამალი დედალს რომ შეეშვება და დეზ-ნისკარტის მტვრევით რომ გარბის საკენკისკენ და მიხო რომ ამბობს, ღმერთო, აი ასე არ მომაშივოო... საკენკიც ბევრი აგვიკენკავს და ისიც ბევრი გვიჭამია, რისი ჭამაც არ შეიძლება. მთელი გასული კვირა ამის დასტური იყო, ყოველი დღე და ყოველი ნიუსი, რომელსაც ჩემი მეგობარი სააგენტო ათეულობით მაწვდის.

რა თქმა უნდა, მეხანძრეთა შიმშილობა სულაც არ არის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც გასულ კვირაში მოხდა, მაგრამ ჭამა ვახსენე და მაგაზე გამახსენდა. როცა ჭამ, ხომ ჭამ და ზოგჯერ არ ჭამ, მაგრამ მაინც ჭამ

„მოშიმშილე მეხანძრეებს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია სოლიდარობას უცხადებს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მოშიმშილეებთან „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები“, „მწვანე მუშტი“, „სამოქალაქო ჩართულობა“ და „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“ მივიდნენ. როგორც „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარე რევაზ კარანაძემ განაცხადა, კაზრეთის მუშების მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, ორგანიზაცია სოლიდარობას უცხადებს მოშიმშილე მეხანძრეებსაც“.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუ რას მოითხოვენ მეხანძრეები, მაგრამ ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რამ აიძულა ისინი, ასეთი რადიკალური ზომებისთვის მიემართათ. შრომის პირობები, ანაზღაურება, დამოკიდებულება... შესაძლოა, ჩამოთვლამ შორს წაგვიყვანოს და დიდხანს ვერც გავიდეთ ბოლომდე. ალბათ, გუშინ და გუშინწინ მოხდა რაღაც ისეთი, რაც არ უნდა მომხდარიყო და იქნებ დღესაც ხდება ის, რის გამოც ხვალ კიდევ დაჯდება ვინმე საშიმშილოდ. მგონია, რომ ხდება, თავად ნიუსი გვეუბნება ამას — „მოშიმშილეებთან „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები“, „მწვანე მუშტი“, „სამოქალაქო ჩართულობა“ და „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“ მივიდნენ“.

ახალგაზრდა კაცს სოციალ-დემოკრატობა რომ მოუნდება და მოშიმშილეებთან სიარულს სამოქალაქო ჩართულობად რომ ჩათვლის... ახალგაზრდა მწვანეები ხომ ახალგაზრდები არიან (სხვანაირად, ასე არც დაირქმევდნენ) და რატომღაც სახელწოდებად „მწვანე მუშტი“ პენსიონერებს რომ ამოერჩიათ...

ყველანი ახალგაზრდები არიან, ოღონდ უცებ დაბერებულები, რადგან არაფერი ისე არ აბერებს ადამიანს, როგორც პატივმოყვარეობა, მაგრამ ასაკი მაინც ასაკია და წინადადება — „ორგანიზაცია სოლიდარობას უცხადებს მოშიმშილე მეხანძრეებს“ — ასე მესმის: „ჯიგრები ხართ, ძმებო, გვერდით გვიგულეთ, მხარს გიჭერთ, გააგრძელეთ შიმშილობა“, — უთხრეს ახალგაზრდა პერსპექტიულებმა შუახნის უპერსპექტივოებს და წავიდნენ რესტორანში. იმისთანა სუფრა გაიშალა, ჩიტის რძეც არ აკლდა. „ხაჭაპურით არ დაიწყო, თორემ მერე ვეღარაფერს შეჭამ“, — გააფრთხილა შედარებით გამოცდილმა ახალგაზრდა პერსპექტიულმა შედარებით გამოუცდელი ახალგაზრდა პერსპექტიული“.

გაივლის წლები და ამ ყმაწვილებიდან რომელიღაც სახალხო დამცველი გახდება, რომელიღაც პროფკავშირების თავმჯდომარე, რომელიღაც კულტურის მინისტრი და რომელიღაცამ, იქნებ, ფინანსთა მინისტრობასაც კი გამოკრას ხელი...

„სახალხო დამცველი მოშიმშილეებს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ომბუდსმენის აპარატიდან აცნობეს, სახალხო დამცველი მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის იმ თანამშრომლებს შეხვდა, რომლებიც უკვე მეათე დღეა შიმშილობენ და პირადად მათგან მოისმინა პრობლემების შესახებ, რომლებიც დასაქმებულებს უწყებაში მუშაობისას ექმნებათ. უწა ნანუაშვილი საპროტესტო აქციაზე პროფკავშირების თავმჯდომარესთან ერთად მივიდა“, — ეს ამბავი ნამდვილად არ დაესიზმრებოდა ჩემ მეგობარ სააგენტოს. უბრალოდ, ორივე უსაქმურს თავ-თავისი პრესსამსახური აქვს და ამასაც თუ წაიკითხავთ, ნამდვილად არ ინანებთ: „დღეს, 18:00 საათზე აქციის მონაწილეებს პროფკავშირების ქალთა კომიტეტისა და სხვადასხვა ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები მოინახულებენ და მოშიმშილეებს სოლიდარობას გამოუცხადებენ“.

ზედმეტად ბევრი სტრიქონი ხომ არ მივუძღვენი ამ აქციას? არა, რადგან სწორედ უსაქმურობაა იმ ერთი რამის ჭამა, ზემოთ რომ მოგახსენებდით და ეს რომ აქტუალურია, ამას ეს ორიოდე პწკარიც ადასტურებს: „ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია იმ დეპუტატების დაჯარიმებას ითხოვს, რომლებიც კომიტეტის სხდომებს გაურკვეველი მიზეზებით აცდენენ“.

ჩვენში დარჩეს და, არ მგონია, ამ საქმეს ჯარიმებით და სანქციებით ეშველოს რამე და არც ის მგონია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იყოს გამოსავალი. „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, — ამბობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე და დასძენდა ხოლმე: „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან“.

მომავლიდან მოდიან „მწვანე მუშტი“, „სამოქალაქო ჩართულობა“, „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“ და „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები“, ამ უკანასკნელებს კი იმდენივე წარმოდგენა აქვთ სოციალ-დემოკრატიაზე, რამდენიც ჟურნალ „ლიბერალს“ — ლიბერალიზმზე, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას — ეთიკაზე და ნაციონალური მოძრაობის წევრს — დემოკრატიაზე. ორი კვირის წინ თბილისის საკრებულოსთან აქცია რომ ჩატარდა — „არ დაამტკიცოთ დედაქალაქის ბიუჯეტი“ — ვერავინ დამარწმუნებს, რომ აქციის მონაწილეებს ერთხელ მაინც ჰქონდათ გადაკითხული ბიუჯეტის პროექტი, რომლის მიღებასაც აპროტესტებდნენ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბიუჯეტის პროექტი არც იმათ ექნებათ წაკითხული, რომლებიც სასწრაფოდ ითხოვენ მის მიღებას.

არავინ არაფერი იცის, ვერავინ ვერაფერს ხვდება, საქმის გაკეთება არავის სურს. ქვეყანაშია ფერები მუქი, მაგრამ შიგადაშიგ უგემოვნო მწვანეც გამოსჭვივის.

„დეპუტატი გია გაჩეჩილაძე უმრავლესობის დატოვების მიზეზად „მწვანეთა პარტიის“ მიმართ არსებულ დამოკიდებულებას და უთანხმოებას ასახელებს. „ვტოვებ უმრავლესობას, რადგან დამოკიდებულება ჩემი პარტიის მიმართ ძალიან ცუდია. უმრავლესობაში „მწვანეთა პარტიის“ იდეებისა და აზრების გათვალისწინება არ ხდება“, — განუცხადა ჟურნალისტებს გაჩეჩილაძემ“, — თავზარდამცემ ამბავს იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო.

ალბათ, ყველამ იცით, რა იგულისხმება გაჩეჩილაძის ამ სიტყვებში: „უმრავლესობაში „მწვანეთა პარტიის“ იდეებისა და აზრების გათვალისწინება არ ხდება“. მაინც შეგახსენებთ — გაჩეჩილაძეს უმრავლესობის ლიდერების მიმართ უკმაყოფილება მას შემდეგ გაუჩნდა, რაც პარტიათა საბიუჯეტო დაფინანსების სქემაში, „მწვანეთა პარტიისთვის“ თანხის გამოყოფის განსაზღვრა არ მოხდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გაჩეჩილაძე 300 ათასი ლარს ითხოვდა, პარტიამ ხომ უნდა იფუნქციონიროსო! რეგიონულმა ოფისებმა ხომ უნდა იმუშაონო!

გაჩეჩილაძის მადა უზომოა (300 ათასით იწყებენ ხოლმე), მაგრამ რადგან ზომაზე მიდგა საქმე, იმის ტვინის ზომებიც დავადგინოთ, ვისი ინიციატივითაც გაჩეჩილაძე პარლამენტში მოხვდა. ბავშვობაში ტელევიზორი მქონდა — „ჰორიზონტი“, ტელევიზორის გვერდით ყოველთვის იდო ბრტყელტუჩა, ანუ ჩვენებურად პლასკაგუბცი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა არხიდან არხზე გადართვა. ჰოდა, იმ ტელევიზორს რომ გამოვრთავდი, სულ ბოლოს წერტილი რჩებოდა და გაჩეჩილაძის გამდეპუტატებელს იმ წერტილისოდენა ტვინიც არ გააჩნია.

თუმცა, რა გინდა, ისევ ეგენი და ეგეთები მოძრაობენ, მაგრამ შედეგი? ნული რაზეც უნდა გაამრავლო, მაინც ნული იქნება. მოძრაობით კი, მაინც მოძრაობენ, საქმე არ აქვთ, მაგრამ მაინც მოძრაობენ და ის ძველი ანეკდოტი გამახსენდა... თბილისელი ქუთაისში ავტობუსში ავიდა. მგზავრები სალონში მოძრაობენ, მიდი-მოდიან და გადი-გამოდიან. „რა ხდება?“ — იკითხა თბილისელმა. „მძღოლმა თქვა, უბილეთოდ ნუ გაჩერდებითო“, — იყო პასუხი.

გასულ კვირაში პარლამენტმა ასარჩევ მერებს და გამგებლებს ბილეთის ფასი გაუძვირა. უკან დარჩა წივილ-კივილი და ვნებათაღელვა თმაზე „40 პროცენტის მასხარა დედა ვატირე, მაიტა 50 პროცენტი“. მოითხოვეს და მიეცათ, თუმცა, როგორ მიეცათ, მთლი მუღამი და მარილი სწორედ მაგაშია

„50%-იან ბარიერთან დაკავშირებით გადამწყვეტი ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია აღმოჩნდა. კოალიციაში რამდენიმე კვირის განმავლობაში სერიოზული დებატები მიმდინარეობდა. პირველივე შეხვედრაზე თავად ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია 50%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწესებაში მდგომარეობდა. მან მოახერხა, თითოეული ჩვენგანი დაერწმუნებინა, რომ სჯობს, ასეთი ტიპის ნაბიჯი გადავდგათ, საქართველო ემზადება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოსაწერად და ამ კონტექსტში მისი პოზიცია ძალიან დამაჯერებელი იყო“, — აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

როგორც ეგნატე ნინოშვილი იტყოდა, ვაი, თქვენს პატრონს, მაგრამ რადგან ქართველები ცოტანი ვართ, რადგან „ახლა საჭიროა ყველა ჯანსაღი ძალის კონსოლიდაცია“ და „ჩვენიანებად“ და „თქვენიანებად“ დაყოფის დროც აღარ დარჩა, ბ-ნ ნინოშვილს ბოდიშის მოხდით შევუსწორებ და ასე ვიტყვი: „ვაი, ჩვენს პატრონს“.

ვინ დაიჯერებს, რომ ორი კვირა ერთ პოზიციაზე იდგნენ და უცებ, წკაპანაცია და... სხვა პოზიციაზე აღმოჩნდნენ. სიმართლე კი ის არის, რომ არანაირი პოზიცია არ ჰქონდათ. უთხრეს, 40 პროცენტს მიაწექითო და აწვებოდნენ. უთხრეს, მიაწექით 50 პროცენტსო და — მიაწვნენ. აი, თქვენ კი მიაწექით არმაგედონის ზანგის ასივე პროცენტს, თქვე მართლა უცებ და შემთხვევით კეთილმოწყობილებო, თქვენა!!! გიჟ-ვრაცუები ხართო — დაგვცინოდნენ და უცებ ბანძ-ნაცუების მასხარად ასაგდებები გავხდით! შუშის ბოთლზე დასასმელებს პარლამენტში პლასტმასის ბოთლებს ესვრიან... მორჩა, ორშაბათიდან აღარ ვაბარებ ბოთლებს. მეგონა, დადგა ჟამი ბოთლების ჩაბარებისა-მეთქი, მაგრამ შევცდი, ბოთლების შეგროვების ჟამი გრძელდება. ბოთლისთვის კი სულ ერთია, ვინ აღმოჩნდება მასზე, ნაცი თუ ქოცი. მოკლედ, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ — „ყველას დამსახურების მიხედვით“.

არ ვიცი თუ ჯერ კიდევ ვერ ვხვდები, რით დაიმსახურა გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტობა, მაგრამ მუშნი ზარანდიამ რომ თქვა, ჩინი თანამდებობას ახლავსო, პარლამენტში სიტყვით გამოსვლა პრეზიდენტის პოსტის თანმხლებია. მივიდა, ნახა გამოვიდა — ვენი, ვიდი... და რაღაც. არ მინახავს, არ მომისმენია. ხანდახან რომ გადართავ, ხანდახან რომ მოკრავ თვალს და ყურს, მაგას არც ნახვა ჰქვია და არც მოსმენა, მაგრამ ჩემთვის და თქვენთვის, ანუ ჩვენთვის, არსებობს ჩვენი მეგობარი სააგენტო, რომელიც ზრუნავს ჩვენს ინფორმირებულობაზე და აქედან გამომდინარე, ვიცით, რომ წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას პარლამენტში ისმოდა კაკალაშვილის პოეზია და სიტყვები: „ბოზი“, „ჩათლახი“, „ფარჩაკი“, „ჩარეცხილი“.

პრეზიდენტის სიტყვა იყო მშვიდი და დალაგებული, მაგრამ მერე ამით რა? გამოვიდნენ ნაცები — „მთავრობა აღმოჩნდა ერთადერთი ინსტიტუცია, რომელმაც ქართველი ხალხის არჩევანს პატივი არ სცა“, „პრეზიდენტის ინსტიტუტი კნინდება და ეს თავად გიორგი მარგველაშვილის ბრალია“, „საქართველოს პრეზიდენტი იმსახურებს, რომ მის გამოსვლას მთავრობა ესწრებოდეს“ — და კიდევ ერთხელ გადავირიეთ.

რა დავაშავეთ?! — ამ კითხვას ხშირად ვუსვამდი საკუთარ თავს და ნაცნობ-მეგობრებს, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერს ვხვდები. აი, ეს რომ საქართველოში მომხდარიყო, ეს ნიუსი საქართველოდან რომ გავრცელებულიყო, ყველაფერი კარგად იქნებოდა: „ვიქტორ იანუკოვიჩის განცხადებით, უმაღლესი რადას ყოფილ სპიკერს ვლადიმერ რიბაკს სცემეს. ამის შესახებ იანუკოვიჩმა ტელეკომპანია „112“-თან ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც რიბაკმა თანამდებობა დატოვა, სცემეს, რის გამოც დონეცკში სამკურნალოდ გაგზავნა. როგორც უკრაინის პრეზიდენტი ირწმუნება, მისი ადმინისტრაციის უფროსს, ანდრეი კლიუევთან მუქარის შემცველი სატელეფონო შეტყობინებები მიდის. იანუკოვიჩმა დასძინა, რომ მისი პირადი მანქანაც დაცხრილეს“.

„ამაყი ვიქნებოდი, პრეზიდენტს ჩვენი ქვეყნის 20%-ის დამპყრობლისთვის ერთი სიტყვით ოკუპანტი მაინც ეწოდებინა“, — აღნიშნა უმცირესობის უმცირესმა, გიორგი ღვინიაშვილმა. რა ცოტა ყოფნის ნაცს სიამაყისთვის... და სიხარულისთვისაც. ამბობენ, 2008 წლის 12 აგვისტოს, როცა ნაციონალური მოძრაობა ომში გამარჯვებას რუსთაველზე ზეიმობდა, გიორგი ღვინიაშვილი სიხარულით დახტოდაო. არ მჯერა, რომ ის ხტუნაობა მისი ინიციატივა იყო. უთხრეს, იზეიმეო და იზეიმა, ზუსტად ისე, როგორც „ქ. ოცნებისა“ და 50-პროცენტიანი ბარიერის შემთხვევაში.

დადგება დღე, როცა მთელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ვეტყვით: „ფეჩები ხართ და ბოლები გამოუშვით“, მაგრამ სანამ ეგ მოხდება, კიდევ ბევრჯერ მოხდება ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში. მანამდე, წლების განმავლობაში ხომ ლეიბორალისტები ჭამდნენ ტვინს ათასგვარი განცხადებებით, გასული კვირიდან მოყოლებული კი ამ ნიშის დაკავებას უმრგვალმაგიდო (იმ მაგიდის ოთხივე ფეხი დამპალი აღმოჩნდა) „თავისუფალი საქართველო“ ცდილობს: „თავისუფალი საქართველო“ ცენტრალურ აფრიკაში ქართული ჯარის გაგზავნის წინააღმდეგია; „თავისუფალი საქართველო“ დავით უსუფაშვილს „თაღლითობაში“ ადანაშაულებს; „თავისუფალი საქართველო“ — ხელისუფლება, საარჩევნო და თვითმმართველობის კოდექსებს ვენეციის კომისიაში აღარ გაგზავნის; „თავისუფალი საქართველო“ — „ქართული ოცნება“ ადასტურებს, რომ თბილისის ბიუჯეტის არც ერთი ვარიანტი არ დამტკიცდება“.

თავისუფალი საქართველო... თავისუფალი, ოღონდ რისგან? ფიქრისგან, განსჯისგან, განათლებისგან, პასუხისმგებლობისგან, რწმენისგან, სიყვარულისგან... თავისუფალი. ჰა და ჰა, იქნებ სცადოს ვინმემ და დაიკავოს ის ნიშა, სადაც ნაფიქრი აზრი, გულწრფელი სიტყვა და საშური საქმეა.

გიჟ-ნაცუებმა დაიკავეს ნიშა „დიდება უკრაინას“. აქციები მოაწყვეს ბათუმში, თბილისში, ქუთაისში...

დატკბით: „Slava Ukraine, Heroes Slava, — ამ სიტყვებით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი გამოვიდა. გაბაშვილი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა და უკრაინელი ხალხის გმირობის შესახებ ისაუბრა“.

გაბაშვილს რატომღაც არავინ გაახსენა, საქართველოსთვის დაღუპული ბიჭების მემორიალთან როგორ მიუსიეს ძაღლები ბიჭებს, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ და ახლაც მზად არიან, საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს შეწირონ.

ისე, საერთოდ რა უნდა ილაპარაკო იმ ქვეყანაში, სადაც ფინიშამდე ვერმისულ მოთხილამურეს უფრო მეტი დაფასება აქვს, ვიდრე... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო?

გასული კვირის ზოგიერთი ნიუსის სათაურებს ჩამოვთვლი მცირე კომენტარებით.

„გიგი უგულავა კენჭს საკრებულოს დეპუტატად იყრის“. სარი უთხრია...

„თბილისის საკრებულოს სხდომას უმცირესობა არ ესწრება“... 17 მაისს ხომ დაესწრებიან უმცირესობების შეკრებას? მაგათი ადგილი იქ არის და არა საკრებულოში.

„დავით უსუფაშვილი: „ქართული ოცნება“ არჩევნებს ოდესმე აუცილებლად წააგებს“... რაც უფრო მეტად გაუფრთხილდებით ნაცებს, უფრო გვიან მოხდება ეს.

„დავით უსუფაშვილი: „ჩემი წინადადებით დავით ბაქრაძის განცხადების სერიოზულობის შემოწმება მინდოდა“... რად უნდა შემოწმება? ქლიბია-მეთქი, ქლიბი!

„დავით უსუფაშვილი: „პარტიებს სჭირდებათ დაფინანსება და კეკლუცობა სწორი არ იქნება“. თუ არ იკეკლუცებენ, ისე ვინ დააფინანსებს?

„თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი გახდა“ და „ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს, თამაზ მარგველაშვილს უფლებამოსილება შეუწყდა“... არ შეგვჭამეს ამ მარგველაშვილებმა?

„უკრაინის სოლიდარობის მიზნით, ხუთმა მოქალაქემ თბილისში რუსული რომანსის საღამო გააპროტესტა“... აქაც ხუთიანი?!

„პრეზიდენტის სასახლეში გამოფენა „ხელოვნება მართავს“ გაიხსნება“... უკომენტაროდ!

„მიხეილ სააკაშვილი: „ევროპამ უნდა გაიღვიძოს“... წადი შენი!..

დავით უსუფაშვილი: „პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი იმაზე, რა ფასებია ბაზარში, როგორია ლარის კურსი, როგორია ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი“... აბა, ვინ არის? ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?!

გიორგი მარგველაშვილი: „საკუთარი ხალხის მიმართ იარაღის გამოყენება არც ერთ ხელისუფლებას არ შერჩენია“... მაიცა და, ნაცებს არ შერჩათ?

„სამთავროს დედათა მონასტერში შესასვლელად 600-მდე საშვია გაცემული“... ერთ-ერთი საშვი ნოდარ ხადურზე გაიცა, იმ ნოდარ ხადურზე, რომელიც წინა დღეს ამბობდა, პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლაზე დასწრებას კანონი არ მავალდებულებსო.

„სამთავროს დედათა მონასტერთან სასულიერო პირები და მოქალაქეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ“... აღშფოთებით, შეშფოთებით, გულისტკივილით და უკომენტაროდ!!!

ა.ა.წ. (არსადაც არ წავალ) კარლსონმა ხელი სტაცა გუნილას და ღვეზელის ნაჭერი უკან დაადებინა. „ასეთი ღორმუცელა გოგო ჯერ არ მინახავს, — თქვა კარლსონმა და თეფშზე კარგა გვარიანი ნაჭერი დაიდო — მსოფლიოში ღვეზელის სინსილის გამწყვეტი სახურავის ბინადარი კარლსონია, — გაიღიმა კმაყოფილმა“. „აქედან წავიდეთ“ — წაიჩურჩულა დედამ. „კარგს იზამთ, თორემ ძალიან მრცხვენია...“ — განუცხადა კარლსონმა.

(ასტრიდ ლინდგრენი, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“)

იულიადან ვანომდე

რა ჩაიფიქრა კგბ-მ და რა უხარიათ ნაციონალებს

გიორგი გიორგაძე

მაშ, ასე: ვიქტორ იანუკოვიჩი გაიქცა, უკრაინა თავისუფალია! „გაქცევა“ შესაძლოა, პირობით ნათქვამია, მაგრამ უკრაინული მედია ირწმუნება, რომ იანუკოვიჩი, რომელსაც ცალკეული ექსპერტები კადაფისა და ასადის ბედს უწინასწარმეტყველებენ, რუსეთში, ე.წ. პატრონებთან წავიდა. ერთი შეხედვით, ყველაფერი თითქოს დამთავრდა — ასამდე ადამიანის სიკვდილს უშედეგოდ არ ჩაუვლია და უკრაინამ რუსული იმპერიალიზმი საბოლოოდ დაამარცხა, მაგრამ ანალიტიკოსები ამბობენ, რომ კრემლი უკრაინას ასე ადვილად არ შეელევა. მეტიც, რადას მიერ 2004 წლის კონსტიტუციის აღდგენა და, თუნდაც, ყოფილი პრემიერის, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ერთ-ერთი ავტორის, იულია ტიმოშენკოს ციხიდან გამოშვებაც სწორედ პუტინური სცენარია.

ე.წ. პუტინური სცენარის ხერხემალი კი, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, უკრაინის ორად გაყოფაა. ორად გაყოფის საფრთხე, მართლაც, რეალურია — ჯერ კიდევ სისხლიანი ბატალიების დროს, ყირიმელთა ნაწილი გამოვიდა მოწოდებით — ყირიმი უკრაინას გამოეყოს.

ამასთან, არსებობს ცნობა, რომ ოდესის მხარე, სადაც ძირძველ უკრაინელებს ეთნიკური რუსები სჭარბობენ, თავიდან ბოლომდე, კრემლისგან იმართება და კრიტიკულ ვითარებაში, რუსეთთან მიერთების მოთხოვნით, იქ, შესაძლოა, ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყოს.

უკრაინის ორად გახლეჩის რუსულ სცენარზე აქცენტს საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, „საქართველოს გზის“ დამფუძნებელი სალომე ზურაბიშვილიც აკეთებს და Facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს:

„ყველაზე საშიში ფაზა ახლა იწყება... იანუკოვიჩმა, საპრეზიდენტო სასახლის დაცლით, ოპონენტებს სასახლის დაკავებას ბიძგი მისცა და ახლა იძახის, ეს გადატრიალებაა, აღმოსავლეთ უკრაინაში გადაბარგდა და იქიდან „ფაშისტურ“ გადატრიალებაზე საუბრობს... აშკარად პროვოცირებული მცდელობაა უკრაინის ორად გაყოფისა... მისი, უფრო სწორად, რუსეთის ვაბანკი! პირდაპირ კგბ-ს ხელწერა ეტყობა ამ სცენარს.... ახლა სჭირდება უკრაინელ ხალხს სიბრძნე და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა“.

გამოიჩენს თუ არა უკრაინელი ხალხი პოლიტიკურ სიბრძნეს, ამას დრო აჩვენებს. პრინციპში, მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, პროგნოზის გაკეთება უაზრობაა, თუმცა ერთი ფაქტია: ციხიდან გამოსული თანამედროვე უკრაინის ჟანა დ, არკი ანუ იულია ტიმოშენკო ბორშჩის მომზადებით არ დაკავდება და იანუკოვიჩის კლანზე, რომლის წყალობითაც საპატიმროში ხუთი წელი გაატარა, შურს იძიებს.

„დღეს პირველად დავინახე ცა, დღეს პირველად დავინახე ხალხი. ასევე დღეს მთელ უკრაინას შეუძლია პირველად დაინახოს ცა და მზე, რადგან დიქტატურა დაემხო და ეს მოხდა არა პოლიტიკოსებისა და დიპლომატების წყალობით, არამედ ხალხის“, — ამბობს ტიმოშენკო, რომელმაც ხარკოვის მე-5 ციხის სამკურნალო დაწესებულება ინვალიდის ეტლში მჯდომმა დატოვა.

ყირიმთან დაკავშირებით საგულისხმო განცხადება გააკეთა ერთ-ერთმა რუსმა მაღალჩინოსანმაც.

„თუ უკრაინა გაიყოფა, ეს ომამდე მიგვიყვანს. პირველ რიგში, უკრაინა დაკარგავს ყირიმს, რადგან ჩვენ შევალთ იქ და დავიცავთ მას, როგორც ეს საქართველოში გავაკეთეთ. რუსეთი მზად არის, იბრძოლოს ყირიმისთვის, რათა დაიცვას მისი ეთნიკურად რუსი მოსახლეობა და ყირიმში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზები“, — აცხადებს რუსი მაღალჩინოსანი „ფაინეიშნელ თაიმსთან“ საუბრისას, თუმცა გამოცემა მაღალჩინოსნის ვინაობას არ აკონკრეტებს.

გამოცემის ცნობითვე, ყირიმის უკრაინისგან გამოყოფას არ გამორიცხავს ყირიმის პარლამენტის სპიკერი ვლადიმერ კონსტანტინოვიც.

„ჩვენ არ მივცემთ ევროპასა და აშშ-ს ნებას, რომ უკრაინა წაგვართვან. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ერთი ოჯახი ვართ. ისინი ფიქრობენ, რომ რუსეთი ისეთივე სუსტია, როგორც ეს 90-იანი წლების დასაწყისში იყო, მაგრამ ასე არ არის“, — აცხადებს ინკოგნიტო რუსი ჩინოვნიკი.

ყოველივე ამის ფონზე, ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური კითხვა: როგორ იმოქმედებს უკრაინაში განვითარებული მოვლენები საქართველოზე? — ამ თემაზე არაერთი მოსაზრება არსებობს.

პრორუსული ორიენტაციით გამორჩეული ქართველები მიიჩნევენ, რომ უკრაინაში ის მოვლენები განვითარდა, რომელსაც საქართველოში ადგილი 1991-92 წლებში ჰქონდა ანუ კანონიერად არჩეულ იანუკოვიჩის ხელისუფლებას ხუნტამ თითქოს გადატრიალება მოუწყო.

დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობის უფლება, ბუნებრივია, ნებისმიერ მოსაზრებას აქვს, მაგრამ იმაზე მსჯელობა, რომ იანუკოვიჩი ამბოხებულთა მსხვერპლია, უბრალოდ, სასაცილოა, თან ამ ვერსიას აშკარად კგბ-ს „სუნი ასდის“.

უკრაინის მოვლენებზე საუბრისას, ნაციონალების მომხრეები აქცენტს განსაკუთრებით იულია ტიმოშენკოს ციხიდან გამოშვებაზე აკეთებენ და ნიშნისმოგებით ამბობენ — აი, საპყრობილეს ვანოც მალე დატოვებსო.

საერთოდ, ნაციონალები დიდი ხანია, ცდილობენ, მერაბიშვილი ტიმოშენკოს შეადარონ. მათ შორის მსგავსება, მართლაც, არის — ორივეს პრემიერული წარსული აქვს, მაგრამ ტიმოშენკო სასჯელს ფინანსური მაქინაციებისთვის იხდიდა, მერაბიშვილს კი, კორუფციასთან ერთად, ადამიანის უფლებების დარღვევასაც ედავებიან.

ასეა თუ ისე, უკრაინის მოვლენები რეგიონზე, განსაკუთრებით კი, საქართველოზე თავის კვალს აუცილებლად დატოვებს.

ისე, კარგია, რომ ევროპა-აშშ მხოლოდ აღშფოთებით არ შემოიფარგლა და იანუკოვიჩის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯებიც გადადგა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის გადაწყვეტილება იყო, რომლითაც რუს თუ უკრაინელ ოლიგარქებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ოფშორულ ზონებშიც ანგარიშები დაუყადაღდებოდათ ანუ ფულოსნებს, რომელთა ფინანსური დახმარებითაც იანუკოვიჩი „თავს მშვიდად გრძნობდა“, საკუთარი მილიარდების დაკარგვის სერიოზული საფრთხე შეექმნათ, ამიტომ გადამწყვეტ მომენტში, იანუკოვიჩის და, საერთოდ, კრემლის პოზიციების გამაგრებას, პირადი ცხოვრების დაცვა ამჯობინეს.

დაბოლოს, უმაღლესი რადას გადაწყვეტილებით, უკრაინაში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 25 მაისს გაიმართება. ციხიდან გამოსული იულია ტიმოშენკო ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის და არსებობს ალბათობა, გაიმარჯვოს კიდეც — მოგეხსენებათ, ხალხი ყოველთვის ნატანჯი და წამებული ლიდერის გვერდით დგება ხოლმე.

თუკი იულია პრეზიდენტი მართლა გახდება, ეს ქართველი ნაციონალებისთვის ერთგვარი სტიმული იქნება ანუ სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებაზე მუშაობა უფრო გააქტიურდება და ამ სცენარს ქართველი პოლიტიკოსებიც განიხილავენ. ასევე, ნიშანდობლივია, რომ აშშ-ში მყოფი საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოვლენებს აქტიურად ეხმაურება.

მოკლედ, ვნახოთ, რა და როგორ იქნება...

უწყებათაშორისი კომისია მუდმივმოქმედი იქნება

კომისიის მუდმივმოქმედად გარდაქმნას საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს.

დღეს არსებული ნორმის მიხედვით, უწყებათაშორისი კომისია საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, საარჩევნო წლის 1-ელ ივლისს იქმნება, ხოლო რიგგარეშე, შუალედური ან ხელახალი არჩევნების დროს, ასევე თვითმმართველობის არჩევნებისას, არჩევნების დანიშვნიდან სამი დღის ვადაში ყალიბდება.

პარლამენტში ინიცირებული პროექტის მიხედვით, უწყებათაშორისი კომისია მუდმივმოქმედი იქნება, რომელიც არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკო-ს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამებამდე საჭიროებისამებრ შეიკრიბება, მაგრამ არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ — კვირაში ერთხელ მაინც.

დანარჩენი დროის განმავლობაში უწყებათაშორისი კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ, კომისიის თავმჯდომარის მოწვევით.

კომისია იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში მოქმედებს და მას მინისტრი ხელმძღვანელობს.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ორი დანაშაული გახსნა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული გიორგი ს. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, გუდამაყრის ქუჩაზე, ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს.

სამართალდამცველებმა გიორგი ს-ს კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას „კოროვინის“ კონსტრუქციის 2 პისტოლეტი და 26 საბრძოლო ვაზნა, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას 3 ცალი ერთლულიანი თოფი, „ნაგანის“ სისტემის 2 რევოლვერი 7 საბრძოლო ვაზნით, „სმიტ-ვესონის“ მოდელის რევოლვერი 26 საბრძოლო ვაზნით, „მოსინის“ მოდელის კარაბინი და კარაბინის კუსტარულად დამუხტული 1 ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

ამასთან, ძალოვნებმა ნარკოდანაშაულიც გახსნეს. კერძოდ, შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ანდრია ჩ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით თბილისში, გულიას ქუჩაზე, ავტოსადგურში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 9 შეკვრად დაფასოებული 5,15 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,174 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით ანდრია ჩ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის და მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ჯი-ეიჩ-ენი“

დაშავებული ქართველი სამხედროები აშშ-ში გაემგზავრნენ

ISAF-ის მისიასა და 2008 წლის აგვისტოს ომში მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცები პროთეზირების პროგრამას აშშ-ში, სან დიეგოს პიტერ ჰარშის საპროთეზო კლინიკაში გაივლიან. სამხედროები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მედეა ბეთაშვილმა, ოჯახის წევრებმა და თანამებრძოლებმა გააცილეს. მათ სამხედროებს გამოჯანმრთელება და სამშობლოში მალე დაბრუნება უსურვეს.

პიტერ ჰარშის საპროთეზო კლინიკაში რეაბილიტაციის კურსი მეორე ეტაპზე 6 სამხედრო მოსამსახურეს ჩაუტარდება. დაშავებულ სამხედროებს მექანიკურ კიდურებს ბიო-მიკროპროცესიანი პროთეზით შეუცვლიან. უახლესი თაობის ელექტრო კიდური მათ რთულ რელიეფზე გადაადგილებას გაუადვილებს. ექსტრემალური პირობების გამძლე ახალი პროთეზი ჯარისკაცებს მეტი აქტიურობის საშუალებას მისცემს. სამხედროების მკურნალობის კურსს აშშ-ში ზედამხედველობას ქართველი ექიმი, მაიორი ზვიად ბურძგლა უწევს.

სან დიეგოს კლინიკაში რეაბილიტაციის კურსი თითოეული სამხედროსთვის ინდივიდუალურია. მათი შერჩევა დაზიანებების სიმძიმის მიხედვით ხდება. პროთეზირების კურსი პირველ ეტაპზე 6-მა სამხედრო მოსამსახურემ უკვე გაიარა. ისინი საქართველოში 15 თებერვალს დაბრუნდნენ. ამჟამად, პიტერ ჰარშის კლინიკაში რეაბილიტაციის კურსის გასავლელად პირველ ეტაპზე გაგზავნილი ორი სამხედრო მოსამსახურე რჩება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ყველა ჯარისკაცი საკუთარ ქვედანაყოფს დაუბრუნდება და შეიარაღებულ ძალებში გააგრძელებს მსახურს.

დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები რეაბილიტაციის კურსის გასავლელად აშშ-ში ეტაპობრივად გაემგზავრებიან.

„ინტერპრესნიუსი“



„ქართული ფილმის“ თანამშრომლები აქციების დაბრუნებას ითხოვენ

სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ თანამშრომლებმა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ადმინისტრაციულ შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეები წინა ხელისუფლების დროს წართმეული აქციების დროულად დაბრუნებას ითხოვდნენ, მათ ჰქონდათ პლაკატები, წარწერით: „ქართული ფილმი“ ეკუთვნის თანამშრომლებს“, „SOS“, „დაგვიბრუნეთ 1/3“.

„ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი შენგელაიას განცხადებით, აქციების გარეშე დარჩნენ ის თანამშრომლები, რომლებმაც კინოსტუდია თავიანთი შრომით ააშენეს. მისივე თქმით, წინა ხელისუფლებამ აქციები აუქციონის გზით გაყიდა.

„წინა ხელისუფლებამ გაგვიყიდა აქციები თუმცა, ახალი ხელისუფლება არ გაინძრა და, შესაბამისად, დროულად არ დაგვიბრუნა წართმეული აქციები. არ გვიშვებენ შენობაში, ჩვენი მოთხოვნაა, რაც შეიძლება მალე დაგვიბრუნდეს წართმეული აქციები“, — აღნიშნა გიორგი შენგელაიამ.

აქციის მონაწილეები აქციების დროულად არდაბრუნებაში „ქართული ოცნების“ დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ მას კინოსტუდიასთან დაკავშირებით საკუთარი ინტერესები აქვს.

„ინტერპრენიუსი“

„იმედი გამიჩნდა, რომ სააკაშვილის შემდეგ პატიოსანი პრეზიდენტი გვეყოლებოდა, მაგრამ მარგველაშვილი ნამეტანი პატიოსანი აღმოჩნდა!“

რატომ შევიდა უკანა კარიდან, რა კითხვები აქვთ ქუთაისელებს და რა ხდებოდა გიორგი მარგველაშვილის წლიური ანგარიშის დროს პარლამენტის შენობასთან

რუსუდან შელია
557-100-768

21 თებერვალს, ვიდრე გიორგი მარგველაშვილი ქუთაისის პარლამენტს პირველად ეწვეოდა და დეპუტატებს წლიურ ანგარიშს წარუდგენდა, „ვერსია“ დაინტერესდა, რა კითხვები ჰქონდათ მასპინძელ ქუთათურებს საქართველოს პრეზიდენტთან. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ გამოკითხულთა უმრავლესობამ, ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჰყავს, „ვერსასთან“ საუბრით გაიხსენა:

ივანე გელენიძე, 62 წლის: — პრეზიდენტიო? სად ჰყავს ქვეყანას პრეზიდენტი ან თუ ჰყავს, რატომ არსად ჩანს? ტელევიზორში მაინც დაგვენახოს, თუ ეშინია, თვალი არ ეცეს?!

ციური მიქელაძე, 47 წლის: — პრეზიდენტი იმდენი ხანია არსად მინახავს, მისი სახელი და გვარიც კი დამავიწყდა. ზოგჯერ მგონია, რომ მძიმე ტვირთი ავკიდეთ, მაგრამ თუ პრეზიდენტობა არ უნდოდა, ვინ დააძალა, ვინ ეხვეწებოდა? პრეზიდენტთან კითხვა კი არა, თხოვნა მაქვს: ბატონო გიორგი, ხალხის ხარჯზე მინისტრებს რომ კისერი გაუსქელდათ, რატომ არაფერს ამბობთ? თუ მათი მოხსნის უფლება არ გაქვთ, ხმა მაინც ამოიღეთ და ხალხის უფლებები სიტყვით დაიცავით. კაბინეტში ჩასაკეტად კი არ აგვირჩევიხართ!

თამარ ხურციძე, 35 წლის: — პრეზიდენტთან ბევრი კითხვა მაქვს, მაგალითად, რატომ არ არის აქტიური პოლიტიკურ პროცესებში და რას ფიქრობს დღეს ბიძინა ივანიშვილზე? მახსოვს, წინასაარჩევნო პერიოდში ამბობდა, მეამაყება, რომ ივანიშვილი ჩემი მეგობარიაო. დღესაც ასე ფიქრობს?

ნინო ჩიტაძე, 29 წლის: — გიორგი მარგველაშვილის მიმართ კეთილგანწყობილი ვიყავი და იმედიც გამიჩნდა, რომ სააკაშვილის შემდეგ მართალი და პატიოსანი პრეზიდენტი გვეყოლებოდა, მაგრამ მარგველაშვილი ნამეტანი პატიოსანი აღმოჩნდა. ბევრი ლაპარაკი არ ვარგა, მაგრამ არც ჩუმად ყოფნაა კარგი... ბატონო პრეზიდენტო, არჩევნების წინ ქუთაისელებს უკეთეს მომავალს რომ დაგვპირდით პირადად თქვენ, რა გააკეთეთ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად? კოჰაბიტაციის დასრულებასაც შეგვპირდით, თუმცა ქუთაისში ისევ ის ხალხი განაგებს ყველაფერს, ვინც წლების განმავლობაში გვავიწროებდა, მათ შორის, გიორგი თევდორაძე, პარლამენტში დეპუტატად რომ ჩამომჯდარა.

გიორგი ლიკლიკაძე, 26 წლის: — პრეზიდენტს ვთხოვ, დეპუტატებს კი არა, ხალხს შეგვხვდეს. რატომ არ გაახსენდა არც ერთხელ ქუთაისი მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა?

გურამ კიკნაძე, 45 წლის: — პრეზიდენტის არსებობის შესახებ მხოლოდ მაშინ ვიგებ, როცა ან დეპუტატებს ან ელჩებს ხვდება. მიხეილ სააკაშვილმა ტყუილებითა და ლაქლაქით დაგვღალა, გიორგი მარგველაშვილმა კი პასიურობით. პრეზიდენტს ხალხი ხომ უნდა იცნობდეს?! ზოგჯერ თავის აზრი მაინც გაგვაგებინოს, რას ფიქრობს პროდუქტზე გაზრდილ ფასებზე, გაღატაკებულ ხალხზე, რომელსაც ყველანაირი იმედი ჩაუკლეს.

ნესტან ლაბაძე, 55 წლის: — გიორგი მარგველაშვილი რომ პოლიტიკოსი არ იყო, ეს არჩევნებამდეც კარგად ჩანდა. იგი ხალხმა ბიძინა ივანიშვილის გამო აირჩია, მაგრამ ახლა ორივე ერთად ხალხს ემალება. მე პრეზიდენტთან კი არა, ქართველ ხალხთან მაქვს კითხვა — ხალხნო, რამდენჯერ უნდა მოვტყუვდეთ, როდემდე უნდა გვეგონოს, რომ ვინმე მაღალ ხელფასზე ან ჯიპებზე უარს იტყვის და ჩვენი კეთილდღეობისთვის იზრუნებს?! სანამ ქართველები ციდან ფულების ყრას დაველოდებით, არაფერი გვეშველება.

ქუთაისელები საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის შენობის წინაც ელოდებოდნენ. ზოგს მისთვის წერილის გადაცემა უნდოდა, ზოგს კი, უბრალოდ, ნახვა და კონკრეტული დახმარების თხოვნა, თუმცა გიორგი მარგველაშვილი პარლამენტში მთავარი შესასვლელიდან არ შესულა. შესაბამისად, არც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინ შეკრებილ ქუთაისელებს შეხვედრია. ამ ფაქტმა კი მათში უკმაყოფილება გამოიწვია. შეკრებილებს შორის გიორგი მარგველაშვილის ნათესავიც აღმოვაჩინეთ.

ნუკრი ნიკოლეიშვილი: — გიორგი მარგველაშვილი მამაჩემის მამიდაშვილის შვილიშვილია. მისი ბებია ნატო ნიკოლეიშვილის ქალია, ასე რომ, პრეზიდენტის სისხლი და ხორცი ვარ და ყური დამიგდოს. წინა მთავრობამ სახლი ამიშენა, ფულიც გადამახდევინა, მაგრამ უხარისხო აღმოჩნდა და ახლა ჭერი თავზე მენგრევა. გამგეობამ ექვსი ათასი ლარი გამომიყო, მაგრამ ამ ფულს არავინ მაძლევს...

ქალბატონ ნუკრის სიტყვა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა, სავარაუდოდ, პრეზიდენტის დაცვის წევრმა გააწყვეტინა და მოშორებით გაიყვანა, თუ პრეზიდენტის ნათესავი ხართ, რა საჭიროა ჟურნალისტებთან საუბარი, ჩვენ დაგეხმარებითო.

დახმარება არავის შეუთავაზებია პარლამენტთან შეკრებილი დანარჩენი ქუთაისელებისთვის.

იუზა ხურცილავა: — თეატრში მუშად ვმუშაობდი, რისთვისაც 1 300 ლარი მეკუთვნის, თუმცა ჯამაგირს არავინ მაძლევს. მინდოდა, გიორგი მარგველაშვილისთვის წერილი გადამეცა, მაგრამ მითხრეს, რომ უკანა შესასვლელიდან შეპარულა, რატომ იმალებიან, გამაგებინეთ? როცა მათ სჭირდებათ, არჩევნების წინ ეზოებში დაიარებიან და იძახიან, ამირჩიე, მიშველეო. ვუშველეთ და ახლა აღარ ვჭირდებით?

ნაზი კაკუშაძე: — ერთი პატიმარი შვილი მყავს, მეორე მომიკვდა. გიორგი მარგველაშვილს ბევრჯერ მივმართე თხოვნით, ჩემი შვილი ფსიქიკურად დაავადების ზღვარზეა და მიშველე-მეთქი, მაგრამ ჩემ წერილებს რეაგირება არ მოჰყოლია. არადა, ჩემი შვილი დანაშაულს გულწრფელად ნანობს, ცუდი ადამიანი რომ იყოს, დახმარებას არავის ვთხოვდი. მინდოდა, პრეზიდენტი მენახა, მაგრამ თურმე, უკვე შენობაში შესულა. რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე, ის მაინც მირჩიოს.

ნანული როხვაძე: — პრეზიდენტი თუ ხალხის რჩეულია, ხალხს არ უნდა შეხვდეს? რატომ შევიდა უკანა შესასვლელიდან? ივანიშვილთან ერთად რომ დადიოდა, ხმა მოგვეციო, ახლა აღარ სჭირდება ხალხი?

ზუსტად მაშინ, როცა პრეზიდენტი დეპუტატებს წლიურ ანგარიშს აბარებდა, პარლამენტთან უკრაინის მხარდამჭერი ერთკაციანი აქცია იმართებოდა. მართალია, საქართველოსა და უკრაინის დროშებით აღჭურვილ გვანცა ჩხიკვაძეს დაცვის თანამშრომლები პარლამენტის პერიმეტრის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ, თუმცა იგი პარლამენტთან ჯიუტად რამდენიმე საათი იდგა.

გვანცა ჩხიკვაძე: — პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას მოვუწოდებ, უკრაინის მხარდაჭერა მტკიცედ გამოთქვას, რადგან ევრომაიდნის ომი ქართველების ბრძოლაცაა. როცა რუსი სნაიპერები საქართველოსაც მოადგებიან, უკვე გვიანი იქნება. გიორგი მარგველაშვილმა უნდა აღიაროს, რომ უკრაინის მოვლენებში მხოლოდ პუტინია დამნაშავე. პრეზიდენტთან კონკრეტული კითხვაც მაქვს: რას გააკეთებდა, დღეს რუსი სნაიპერები ქუთაისის მოედანზე რომ იდგნენ და ევროინტეგრაციისთვის მებრძოლ ქართველებს ტყვიებს უშენდნენ?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

გია ხუროშვილი ირაკლი შიხიაშვილს ფულის გათეთრებაში ამხელს

საბურთალოს რაიონის გამგებელი „ოცნებაში“ პორტირებული ნაციონალების წინააღმდეგ ევროპარლამენტის კომიტეტში სარჩელის შეტანას გეგმავს

რამდენიმე დღის წინ, საბურთალოს რაიონის გამგებელმა, გია ხუროშვილმა Facebook-ის საკუთარ გვერდზე შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძისადმი მიმართავა გამოაქვეყნა და მასზე განხორციელებული თავდასხმის მცდელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სთხოვა. 26 თებერვალს, ოთხშაბათს, გია ხუროშვილი პრესკონფერენციას გამართავს და იმ კორუფციულ სქემაზე ისაუბრებს, რაც საბურთალოს რაიონში აღმოფხვრა და რის გამოც ნაციონალური მოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულნი ებრძვიან.

— ბატონო გია, ვინ გაშანტაჟებთ ან ვინ ცდილობს თქვენზე თავდასხმას?

— უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, ჩემზე, როგორც საბურთალოს რაიონის გამგებელზე, ზეწოლა გააქტიურდა. ამ საკითხებზე საუბარი ცოტა მრცხვენია, რადგან ამ ადამიანებთან ბრძოლასთან შედარებით, ის, რომ უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერ აქციაზე ვყოფილიყავი, გაცილებით მაღალი სტანდარტია. ყველაზე დიდი საფრთხე ჩემთან განხორციელებული მუქარის ზარი ან ჩემზე თავდასხმა კი არა, რომლითაც თავმოყვარე ხელისუფლება და მისი შესაბამისი სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ, არამედ საფრთხე სულ სხვაგანაა — ქვეყნის დაპატრონების მსურველთა რიგში ბევრი უღირსი ადამიანი დგას, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს არც საკუთარი და არც სუფთა პოლიტიკური წარსული, არც კვალიფიკაცია და არც გამოცდილება. ასეთი ხალხი, თავის გადასარჩენად, ყოველთვის იაფფასიან ინტრიგებსა და პროვოკაციებში მონაწილეობას ირჩევს. სხვა სახელი არ შემიძლია დავარქვა იმ ადამიანების ქცევას, რომლებმაც 2012 წლის არჩევნების მეორე დღეს, 2 ოქტომბერს აღმოაჩინეს, რომ გვერდში ედგნენ „კრიმინალურ“ ხელისუფლებას.

— რატომ ვერ შენიშნეთ ეს ადამიანები 9 წლის განმავლობაში?

— რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა დავუშვით და სამართალდარღვევის ფაქტებიც იყო, მაგრამ ეს უკვე ხელისუფლების ვალდებულებაა, გამოავლინოს დამნაშავე. თავმოყვარე ხელისუფლება თავს უფლებას არ უნდა აძლევდეს, მისივე პროკურატურის მიერ, თუნდაც „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეში მხილებულ ირაკლი შიხიაშვილს, რომელმაც საკუთარ გუნდს უღალატა, მოუხსნას ბრალდება და საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიოს.

— საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი და საკრებულოს წევრები — ნინო თევდორაძე და გოგა ქველაძე მაინც რატომ გებრძვიან?

— სიმართლე გითხრათ, საბურთალოს რაიონის გამგებლად ისე დავინიშნე, ამ ადამიანების სახელები და გვარები არც ვიცოდი, რადგან იმდენად არაფრისმთქმელი იყო, როგორც ჩემთვის, ასევე საზოგადოებისთვის, იმდენად უღიმღამო სახეები იყვნენ, საზოგადოებას თავი საკუთარი უპრინციპობითა და უღირსობით დაამახსოვრეს. ის ადამიანები, რომლებსაც ინდულგენციების მიღება სჭირდებათ წარსულისა თუ ჩადენილი კრიმინალის გამო, თანამდებობებზე არ უნდა დანიშნო და არც მრჩევლებად უნდა აირჩიო. ნუთუ, „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ თანამებრძოლთა რიგებში ვერ იპოვა იმაზე უკეთესი ადამიანი, ვიდრე ირაკლი შიხიაშვილი, ნინო თევდორაძე ან გოგა ქველაძეა? ეს იმ ადამიანების შეურაცხყოფაა, რომლებიც წლების განმავლობაში, სწორედ ამნაირი კრიმინალების წინააღმდეგ იბრძოდნენ! პროფესიით იურისტი და სისხლის სამართალში რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი ვარ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემ მიერ დასმული კითხვებით უკვე გახსნილი სისხლის სამართლის საქმე მივაწოდე. მივუთითე კონკრეტული ნომერი, საიდანაც განხორციელდა ზარი, ვკითხე, ვის ეკუთვნის ეს ნომერი და რა კავშირია ზარის განმხორციელებელსა და ამ კონკრეტული ნომრის მესაკუთრეს შორის, დავსვი საკითხი, შეესწავლათ ამ ზარის განხორციელების ადგილი. მსს, როგორც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლობა, წესით, პირადი ღირსების საკითხად უნდა მიიჩნევდეს ამ ტიპის, შავით თეთრზე გამოკვეთილი კრიმინალების გამოვლენასა და მათ დასჯას. არ მინდა, ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები ამ ტიპის იაფფასიან პროვოკაციებში იყვნენ ჩართულნი. სხვა დეტალებს ანუ გვარებსა და სახელებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ არ დავასახელებ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომ ესაა პოლიტიკური დევნის შემადგენელი ნაწილი, რაც ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობაში გადაიზარდა. ყველაფერი ეს ირაკლი შიხიაშვილის კაბინეტიდან დაიწყო, როდესაც მის ქურდულ „სხადნიაკს“ არ ავყევი და პროტესტის ნიშნად, იქაურობა დავტოვე. შიხიაშვილისნაირ მდაბიოებთან ამ ტიპის გარჩევებში მონაწილეობას მიჩვეული ნამდვილად არ ვარ, რადგან იმის უნარი შემწევს, სხვა ტონალობაში დაველაპარაკო, რომ მისი „დიდი პოლიტიკოსობა“ ძალიან მალე, კრახით დასრულდეს!

— ბატონო გია, ციხის კადრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აღიარებთ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ შეცდომები დაუშვა თუნდაც ყოფილი თანაპარტიელების სახით, რომლებიც წლების განმავლობაში პარტიის სახელით მოქმედებდნენ...

— (მაწყვეტინებს) ციხის კადრებთან დაკავშირებით ისეთივე რეაქცია მქონდა, როგორც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას, ისეთივე აღშფოთებული ვიყავი და არაფრის გაგონება მინდოდა, როდესაც, არჩევნების წინ, რაფალიანცის მკვლელობის ამბავი მოვისმინე. იმის გამო, რომ ამ ტიპის საქმეებზე კონკრეტული განაჩენი არ დამდგარა, გარკვეული კითხვისნიშნები ჩნდება. ალბათ, დამეთანხმებით, რომ პირველ რიგში, რაფალიანცის მკვლელობა უნდა გამოძიებულიყო, სწორედ ცოცხის კადრების ავტორები უნდა გაესამართლებინათ, ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერების ავტორები უნდა გამოევლინათ. ჯერ არც ერთ ამ საქმეზე დამდგარი განაჩენი არ მომისმენია და ესეც ერთგვარი ეჭვის საფუძველია. სწორედ იგივე სცენარის ავტორები მითვალთვალებენ დღეს და ფარულად იღებენ სურათს, თუ როგორ ჯდება ჩემსავე მანქანაში ჩემი მეუღლე. მართალია, ირაკლი შიხიაშვილი „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეში იყო ბრალდებული, მაგრამ ერთი კვირის წინ, პირდაპირ ეთერში, მეორე უმძიმესი დანაშაულიც დაადასტურა, რომ მრავალმილიონიანი ბიზნესის მფლობელია. ამ სიუჟეტით, ფულის გათეთრების დანაშაულის ნიშნები იკვეთება, მაგრამ ამ საქმეზე სისხლის სამართლის საქმეც კი არ აღძრულა. მსგავსი ქმედებები სამარცხვინოა და არ ვაპირებ, კრიმინალთა ბანდას ვაპატიო ან ხელში ჩავუგდო ჩვენი ქვეყანა! როდესაც საუბრობენ, რომ გიგი უგულავას დანიშნულ გამგებლებს არ ენდობიან, ბოდიში მოიხადონ იმ ადამიანებმა, რომლებიც წლების განმავლობაში, უგულავას გვერდით იდგნენ, მაგრამ ახლა საკუთარ წარსულს არ ენდობიან. იგივე მიშა ქავთარაძე, რომელიც დღეს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეა, გიგი უგულავას დროს, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე იყო. უკაცრავად, რას არ ენდობა, თავის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თუ იმ ბიუჯეტს, რომელსაც თვითონ ქმნიდა? იქნებ, თვითონაა ამ პროცესების თანამონაწილე ან უფრო მეტიც, მერისგან ფარულად ახორციელებდა იმ კრიმინალს, რომელსაც სამომავლოდ, „სიურპრიზად“ ამზადებდა?

— 26 თებერვალს, პრესკონფერენციაზე, აპირებთ, ნაციონალური მოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ადამიანები კორუფციულ სქემებში ამხილოთ. მაინც რა განუკითხაობა დაგხვდათ საბურთალოს რაიონის გამგეობაში, რასაც თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადეთ?

— მე და ჩემმა გუნდმა შევძელით, გამჭვირვალე და სამართლიანი მმართველობის სტანდარტები დაგვემკვიდრებინა. საბურთალოს რაიონის გამგეობამ 150-გვერდიანი სახელმძღვანელო და ანგარიში შეადგინა, სადაც წინასწარ გავწერეთ მომავალი წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკი და იქვე ფინანსური მონაცემებიც მივუთითეთ. ამის შემდეგ ამოიძირკვა კორუფციისა და ყოველგვარი პარტიული შერჩევითობის არსებობის საფრთხე ჩვენს გამგეობაში. 26 თებერვალს, შეხვედრას გავმართავ საქართველოში მოქმედ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ღიად ვისაუბრებ ამ საფრთხეებზე. საბურთალოს რაიონის გამგეობის მუშაობა ნათელი მაგალითია, როგორ არ სურთ ცალკეულ ადამიანებს ამ ტიპის გამჭვირვალე მმართველობის მიღება, როგორ არ სურთ, ხელი დაიბანონ კორუფციისგან, როგორ არ სურთ, უარი თქვან პარტიულ შერჩევითობაზე. ვაპირებ, ეს საკითხები ევროპის ყველა შესაბამის ინსტანციაში გასაჩივრდეს, სარჩელსაც ვამზადებ, რომელსაც ევროპარლამენტის შესაბამის კომისიასა და ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტში წარვადგენ. ყველა საერთაშორისო ტრიბუნას გამოვიყენებ და არ დავუშვებ, ეს კრიმინალები ხელისუფლებაში მობრუნდნენ. მინდა, საჯაროდ განვუცხადო მოქმედ ხელისუფლებას — მზად ვარ პარტნიორობისთვის, ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არ მიმაჩნია, რომ რომელიმე ჩვენგანი საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის ოპოზიციაში უნდა ჩადგეს. აქედან გამომდინარე, არ ვარ დაინტერესებული, „ქართული ოცნების“ მმართველობა წარუმატებელი იყოს ან კრახით დასრულდეს. იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორობის სანაცვლოდ, ხელისუფლება აირჩევს მონურ მმართველობას და პორტირებული მონების მიერ ახალი გავლენის ათვისებას, მაშინ სხვა გზა არ მრჩება, გარდა იმისა, რომ ოპონირება კანონიერი ფორმით გამოვხატო.

— კონკრეტულად, რა კორუფციულ სქემებს გაშიფრავთ 26 თებერვალს?

— ვიდრე გიპასუხებთ, გეტყვით, რომ მაშინ, როდესაც დემოკრატიის მაღალ სტანდარტებზე ვსაუბრობდი და საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე ვმუშაობდი, რიგით ხალხთან ურთიერთობაში, ჩვენ შიხიაშვილის, თევდორაძისა და ქველაძის დონის კრიმინალები წარმოგვადგენდნენ. კიდევ ყოჩაღ ჩვენი მოსახლეობის მოთმინებას, რომ ჩემი სახელით მასთან შიხიაშვილი, თევდორაძე, ქველაძე საუბრობდა, მაგრამ ამ ხალხმა მაინც მოახერხა და ამდენ ხანს აგვიტანა!

რაც შეეხება კითხვას, საბურთალოს რაიონის გამგეობაში მისვლისთანავე დავიწყეთ თეორიული კორუფციული რისკების დაზღვევაც კი. როდესაც მოსახლეობა მუდმივ გაურკვევლობაშია და არ იცის, როდის გაკეთდება მისი კორპუსის სახურავი, ლიფტი, სადარბაზო, წყალგაყვანილობა და ასე შემდეგ, ყოველთვის შეიძლება, ეს საკითხები პოლიტიკური ვაჭრობისა და კორუფციის საგანი გახდეს. 150-გვერდიან ანგარიშში, დეტალურად გვაქვს გაწერილი, რომელ ქუჩაზე, რომელი კორპუსი ან სადარბაზო უნდა შეკეთდეს, სახურავია გასაკეთებელი, ლიფტი თუ სხვა ტიპის სამუშაოა შესასრულებელი, მითითებულია კონკრეტული ვადა, როდის უნდა გაკეთდეს და ამ სამუშაოს ღირებულებაც დეტალურად გვაქვს გაწერილი. აბა, გაბედოს ვინმემ და მისდაუნებურად, რიგითობა დაარღვიოს, აბა, გაბედოს და ვინმემ იმაზე მეტი მოსთხოვოს, ვიდრე ეს სამუშაო ჯდება, პასუხს აგებს. აი, ეს სტანდარტი დავგეგმეთ, რამაც კორუფცია მთლიანად მოსპო და რასაც „ოცნებაში“ პორტირებული მონები ვერ ეგუებიან! საბურთალოს რაიონის გამგეობაში დავნერგეთ პირველად, რომ უკვე შესრულებულ სამუშაოზე სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას ვიღებთ. ამით კრიმინალური კორუფციის არსებობა გამოვრიცხე, რადგან შესრულებულ სამუშაოს რომელიღაცა კომპანია კი არა, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო მიდასტურებს. საჯარო განცხადებებს ვაკეთებდი და მოსახლეობას ვაფრთხილებდი, კონკრეტულად რა უფლებები აქვთ ამხანაგობებს, ამხანაგობას შეუძლია, თვითონ შეარჩიოს ნებისმიერი კომპანია, ამ ხალხს მოვუწოდებდი, არცერთი კომპანიისთვის არ დაეგდო ყური, თუნდაც ამ კომპანიების წარმომადგენლებს ეთქვათ, რომ გამგებელთან დაახლოებული პირები იყვნენ. მოსახლეობა გავაფრთხილე, რომ ამ ტიპის ქმედება დანაშაულია და თუ ასეთ შემოთავაზებას ექნება ადგილი, შეგიძლიათ, დაუყოვნებლივ მიმართოთ სამართალდამცავ ორგანოებს ან გამგეობას. აი, ასეთი კორუფციული სქემები არსებობდა, რასაც არასოდეს შევურიგდები. ყველაფერ ამაში „დიდი წვლილი“ მიუძღვის ქალბატონ თევდორაძეს, რომელიც ეკლესიისთვის გადასარიცხ თანხასაც კი პირადად აკონტროლებდა, ჩემს პირობებში, ასეთი შერჩევითობა გამორიცხულია. სხვათა შორის, ექსკლუზიურად იმასაც გეტყვით, რომ ამის სანაცვლოდ, გია ხუროშვილი არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას და ეს ჩემი პრინციპული გადაწყვეტილებაა, რადგან ყველაფერი ეს იმისთვის არ გამიკეთებია, რომ მომავალში ხალხთან ხმის სათხოვნელად მივსულიყავი.

კოკა გუნცაძის კართან ნაციონალების რიგი დგას!

გიორგი იაშვილი

ამბობენ, ბოლო დროს, საქართველოს რკინიგზის შეფის, კოკა გუნცაძის მისაღებში ნაციონალური მოძრაობის წევრთა რიგი დგასო. გამიკვირდა და გადავამოწმე. მართალი აღმოჩნდა — ნაციონალების რიგი არამარტო მისაღებში, არამედ, გუნცაძის საცხოვრებელ სახლთანაც დგას და რაც მთავარია, ეს ის ახალი სახეები არიან, ნაციონალური მოძრაობა, აგერ უკვე წელიწადია, რომ გვპირდება, გამოვაჩენო და ვერ აჩენს. თურმე, ნაციონალურ მოძრაობაში რამდენიმე ასეული ახალი სახე ჰყავთ, მაგრამ იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ აჩენენ, რომ არ არიან გამოსაჩენნი.

„რიგების თემა“ მას შემდეგ გაიშიფრა, რაც 21 თებერვალს პარლამენტის წინაშე ანგარიშით გიორგი მარგველაშვილი წარსდგა. რა გასაკვირია, რომ პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ, საპარლამენტო უმცირესობამ კრიტიკული განცხადებები გააკეთა, ყველაზე მეტად გიორგი კანდელაკი აქტიურობდა. როგორც ირკვევა, კანდელაკის გააქტიურებას ნაციონალური მოძრაობის გურუები სწორედ გუნცაძეს აბრალებენ. თუ გახსოვთ, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში გუნცაძემ კანდელაკს შემოულაწუნა და მისი გამოფხიზლებაც ამის შემდეგ დაიწყო. შესაბამისად, იმსჯელეს ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს სხდომაზე, იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ გუნცაძის ხელი ახალ სახეებსაც სჭირდებათ და შემოლაწუნება არც რამდენიმე ძველ სახეს აწყენდა.

თხოვნით — „ნაცებს შემოულაწუნე, კოკა!“ — ლამის აქციებიც გაიმართოს და როგორც გავიგე, არც გუნცაძეა წინააღმდეგი, ხელი იქნიოს, მაგრამ ასე უთქვამს, მალე ვიღლები და ფული გადამიხადეთო. გადარეულან ნაციონალები, რკინიგზის შეფი ხარ, რაღა ფული გინდაო. კოკა უარესად გადარეულა, რკინიგზის შეფი კი ვარ, მაგრამ ეზუგბაია კი არა ვარ, თვეში 100-ათასიანი პრემიები ვიწეროო. მოკლედ, როგორ შეთანხმდებიან გუნცაძე და ნაციონალები შემოლაწუნების თემაზე, თვალ-ყურს მივადევნებ და აუცილებლად მოგახსენებთ.

ისევ მარგველაშვილის გამოსვლას დავუბრუნდეთ. საინტერესო იყო ნუგზარ წიკლაურის გამოსვლა და აღიარება. მის სიტყვებს შესაძლოა, წლის ან ათწლეულის აღიარებაც ეწოდოს. აი, რა თქვა წიკლაურმა:

„ვაღიაროთ ყველამ, რომ „ქართული ოცნების“ არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება შეუსრულებელი არ არის და ამის გამო ბოდიში მოვუხადოთ მოტყუებულ მოსახლეობას!“

რა გამოდის? — „ქართული ოცნების“ დაპირებები შეუსრულებელი არ არის ანუ შესრულებულია და ამის გამო მოტყუებულ ხალხს ბოდიში უნდა მოვუხადოთ. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მთელი 9 წელი მიჩვეული იყო, რომ რასაც ხალხს ჰპირდებოდნენ, არ უსრულებდნენ და, ახლა, ყველა დაპირება რომ სრულდება ან შესრულების პროცესშია, ტყუილი გამოდის, აბა, რა?! ხალხი ხომ მიეჩვია, რომ არაფერი სრულდება და ასე, უნამუსოდ რატომ ვატყუებთ, რატომ ვუსრულებთ?! მე, „ქართული ოცნების“ ადგილზე, შემრცხვებოდაო, დააყოლა ნიკლაურმა და მართალია ეს კაცი. არ გრცხვენიათ, ბატონებო, 9 წლის განმავლობაში მიჩვეულ შეუსრულებელ დაპირებებს რატომ აჩვევთ ხალხს? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ დაპირებების შესრულებას შემდეგ არჩევნებზეც მოითხოვენ და მერე რა გამოვა: დაპირდებით, შეუსრულებთ?.. გამოგელევათ ეს დაპირებებიც, ყველაფერი შესრულებული იქნება და წააგებთ არჩევნებს...

ისე, თუ დააკვირდით, გიორგი მარგველაშვილისთვის არავის უთქვამს, შენი ოჯახის წევრებს ბალნეოლოგიური კურორტი აქვთ „დათრეული“, ამა თუ იმ უნივერსიტეტის აქციები შეიძინეს, მონოპოლიას ხელს უწყობენ და ნავთობის ბიზნესში ინტერესები აქვთო. საინტერესოა, რატომ არ გაკეთდა აქცენტები იმ თემაზე, რაზეც წინა წლებში სააკაშვილს ედავებოდნენ და რატომ არ ამბობს საპარლამენტო ოპოზიცია არაფერს ელიტურ კორუფციაზე, რომელზეც წინა წლებში უცხოელებიც კი მიანიშნებდნენ? სად გაქრა, ვინ წაიღო, იქნებ, გვითხრათ, ბატონებო... მანამდე კი... დავით ბაქრაძეზე გეტყვით:

ამ კაცს მუდმივად უმეორებენ, უფრო კრიტიკული უნდა ოყოო, ცოტა უფრო რადიკალურიო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ, თავის დროზე, ბატონი დავითი ინტელექტუალთა კლუბის წევრი გახლდათ და კარგად ხვდება, რომ მატარებელი, რომელიც 9 წელი უმუხრუჭოდ მიდიოდა, უფსკრულთან ისე ახლოსაა, როგორც არასოდეს და ახლა ცდილობს, დაცემა მტკივნეული არ გამოვიდეს. კი იქნია ბაქრაძემ თითი გამოსვლისას და საპარლამენტო ტრიბუნაც დაკაწრა, მაგრამ მისი ხმა დარჩა ხმად ნაციონალისა პარლამენტსა შინა.

დასასრულ, გიგი უგულავა დაგვპირდა, ჩემს პოლიტიკურ გეგმებზე ოფიციალურ განცხადებას პირველ მარტს გავაკეთებ, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ნაციონალური მოძრაობის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეობა მინდა და ამისთვის ვიბრძოლებო. მოგეხსენებათ, უგულავას სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და, ამას წინათ, მოსამართლესა და პროკურორს უთქვამთ, უგულავა მაინცდამაინც გრძელვადიან გეგმებს ნუ დასახავს, რა იცის, რა ხდებაო.

P.S. ნაციონალური მოძრაობის წევრები ახლა, თურმე, გიორგი ბარამიძეს აკვირდებიან და თუ გააქტიურდება და გამოსვლებსაც დახვეწს, ეგებ, რიგები სოსო ჯაჭვლიანის კართანაც გაჩნდეს მოთხოვნით: „სოსო, შემოგვილაწუნე!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ რუსეთში მოღვაწე ცნობილი ექიმი თამაზ მჭედლიძე, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზეც კარგად იცნობენ, საქართველოში „ველნესის“ ტიპის გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას გეგმავს. ცენტრი დაბა წავკისში, 25 ჰა ფართობზე უნდა განთავსდეს. თამაზ მჭედლიძემ „მედგრუპ ჯორჯია“ შექმნა, რომელსაც წავკისში, დაბა კოჯორსა და ტაბახმელაში მიწის ნაკვეთები უნდა შეეძინა, მაგრამ 3 600 000 აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიცია, რომელიც კონტრაქტის მიხედვით, 2014 წლის დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს, სერიოზული საფრთხის წინაშე დგას — ცნობილ ექიმსა და ინვესტორს თამაზ მჭედლიძეს, გარდაბნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი ებრძვის. ფეიქრიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში, გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, რაიონში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გასხვისება-მითვისებაშიც მონაწილეობდა. „მედგრუპ ჯორჯიას“ დამფუძნებელმა ფეიქრიშვილს „წავკისელი ფეოდალი“ უწოდა და მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამ საქმის დეტალებზე თამაზ მჭედლიძე „ვერსიას“ ექსკლუზიურად ესაუბრა.

მფარველობდნენ თუ არა მიხეილ სააკაშვილის მამა, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა ინვესტორ თამაზ მჭედლიძეს

რეალური მიზეზი, რის გამოც „წავკისელი ფეოდალი“, დეპუტატი თემურ ფეიქრიშვილი მსოფლიოში ცნობილ ქართველ ექიმს ებრძვის

— ბატონო თამაზ, როგორ მიდის სასამართლო პროცესი, საქმეში ახალი დეტალები იკვეთება?

— სასამართლო ორ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს. თავდაპირველად, თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილის მომხრეებმა ადგილობრივი მოსახლეობა გადაიბირეს და, ცენტრის მშენებლობის პარალელურად, აქციებსაც კი გვიწყობდნენ; მეტიც, მშენებლობაში ხელისშეშლის მიზნით, ელექტროენერგიაც ჩაგვიჭრეს, რის გამოც გენერატორები ვიყიდეთ. ერთი საქმე ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. პირველი ინსტანციის სასამართლოში გვითხრეს, ხალხი მართალი იყო, ხელს რომ გიშლიდათო. გასაჩივრების შემდეგ, მეორე ინსტანციის სასამართლოში გამოგვიცხადეს, ხალხი მართალი არ იყოო. მოსამართლემ გვითხრა, ვერც იმას დაამტკიცებთ, რომ გენერატორი ელექტროენერგიის უქონლობის გამო იყიდეთ და ვერც იმას, რომ დიზელის საწვავი სწორედ გენერატორისთვის შეიძინეთო, რაც სრული აბსურდია. ელექტროენერგია რომ ჩამიჭრეს, გენერატორები ამიტომ ვიყიდე და თუ დიზელის საწვავს არ ჩაასხამ, გენერატორი როგორ იმუშავებს?

მეორე საქმე მიწის ნაკვეთების გადაცვლას ეხება ანუ მიწის გარკვეული ნაკვეთები, რაც ცენტრისთვის გვჭირდება, ფეიქრიშვილს უნდა გადაეცვალა, მაგრამ ბოლოს, გადაიფიქრა. სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ და მოსამართლემ საჯარო რეესტრიდან სამი წლისწინანდელი მონაცემები, უფრო ზუსტად, მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები გამოითხოვა, რომლითაც მტკიცდება, რომ მაშინ არავითარი უფლება არ გვქონდა, მიწის ნაკვეთები გადაგვეცვალა. როგორც ხედავთ, მოსამართლემ ხრიკს მიმართა, ოღონდ არ ვიცი, ეს მისი მოფიქრებულია თუ სხვა ვინმე დაეხმარა.

— „სხვა ვინმეში“ თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილს გულისხმობთ, მას თუ შეხვდით?

— არა, არ შევხვედრილვარ... ბოლოს მაშინ ვნახე, როცა დამემუქრა, თუ ნაკვეთების გადაცვლაში ფულს არ გადაიხდი, ოთხ სოფელს აგიჯანყებო. მაშინ ვუთხარი, რომ ერთმანეთს სასამართლოში შევხვდებოდით. ამ პროცესს თვალ-ყურს ჩემი ყველა მეგობარი ინვესტორი ადევნებს, აინტერესებთ, რამდენად დაცულია საქართველოში ინვესტიციები. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ არც ძველი და არც ახალი ხელისუფლების პიროებებში, სახელმწიფო უწყებები ხელს არ მიშლიდნენ. ვიცე-პრემიერმა, გიორგი კვირიკაშვილმა ადგილზე დაათვალიერა გამაჯანსაღებელი ცენტრის სამუშაოები, სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქონია დამთავრებული, ოღონდ ექიმად ერთი დღეც არ უმუშავია და, მოგვიანებით, ეკონომისტი გახდა. მისი ინიციატივით, მალე შევხვდებით პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ეკონომიკის საკითხებში, საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელს, ბიზნესომბუდსმენსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, რომლებიც მხარს გვიჭერენ.

— მოკლედ, ფეიქრიშვილის გარდა, ყველა მხარს გიჭერთ?

— დიახ, ასეა. ფეიქრიშვილია ერთადერთი ადამიანი, ვინც მეუბნება, რომ არ გამახარებს და ხელს ყველა ხერხის გამოყენებით მიშლის.

— ფეიქრიშვილი თავიდან თუ დაგთანხმდათ მიწის ნაკვეთის გადაცვლაზე, მერე რატომ გადაიფიქრა?

— ნაკვეთები ექსპერტებს შევაფასებინეთ, რომლებმაც დაადგინეს, რომ 1 კვ.მ-ის ღირებულება 16 ლარი იყო, ფეიქრიშვილმა და მისმა მძახალმა კი, კვადრატულში 50 აშშ დოლარი მომთხოვეს. ეს ის ნაკვეთია, რომელიც ცენტრამდე მისასვლელ გზაზე გადის. იმის გამო, რომ ფეიქრიშვილის მძახალი გაჯიუტდა და მიწის ნაკვეთი რეალურ ფასად არ გადამიცვალა, ალტერნატიული გზის გაყვანა მომიხდა, რისთვისაც დამატებით 100 000 ლარი გადავიხადე. რომ დავთანხმებოდი და 50 დოლარი გადამეხადა, რა გარანტია მქონდა, სხვა ნაკვეთებზეც იგივეს არ მომთხოვდნენ? 2006 წლიდან ვყიდულობ მიწის ნაკვეთებს. ბოლოს, ჩემ გენერალურ დირექტორს, მირიან ამირანაშვილს ვუთხარი, მესაკუთრეები ენახა. მირიანმა მესაკუთრეებს ნაკვეთების გადაცვლაში გარკვეული თანხა შესთავაზა. ფეიქრიშვილის მძახალმა არ იცოდა, რომ მის სახელზე მიწის 12ნაკვეთი ირიცხებოდა, ვიდრე ჩემმა გენერალურმა დირექტორმა საჯარო რეესტრის მონაცემები არ აჩვენა. თავდაპირველად, გადაცვლაზე მოვილაპარაკეთ, მაგრამ თემურ ფეიქრიშვილი ამტკიცებდა, რომ მისი მძახლისა და ერთი ადგილობრივი მოსახლის, კერძოდ მალხაზ გვარაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები მისი საკუთრება იყო. იმხანად, პეტერბურგში ვიყავი და ჩემ დირექტორს უთხრა, არავითარ გადაცვლაზე არ შეიძლება საუბარი, მაგრამ, თუ გინდათ, 1 კვადრატულს 20 აშშ დოლარად მოგყიდითო. მირიანს დავავალე, მიწის ნაკვეთები გასაყიდად გაეტანა. გამაჯანსაღებელი ცენტრისთვის კი სხვა ადგილის ძებნა გადავწყვიტე. ფეიქრიშვილმა რომ გაიგო, ინვესტიციის ჩადება „გადავიფიქრე“, მირიანს დაეთანხმა, მაგრამ ვაჭრობა დამიწყო და თითო გადაცვლილ ნაკვეთში 10 000 აშშ დოლარი მოითხოვა, თან მირიანს კონკრეტული ადგილები მიუთითა, სადაც მისთვის მიწის ნაკვეთები უნდა შეეძინა. ვთქვი, რომ თითო გადაცვლაზე, 10 ათასს კი არა, სიმბოლურად, 2 ათას დოლარს გადავიხდიდი და შევთანხმდით. ამის შემდეგ, გვარაძეებმა მიწის ნაკვეთი გადაგვიცვალეს. ყველა ნაკვეთზე გავაფორმეთ ხელშეკრულება. ფეიქრიშვილმა ყველა ის ადამიანი მოგვიყვანა, ვის სახელზეც მიწის ნაკვეთები ჰქონდა გაფორმებული. თითო ნაკვეთზე ე.წ. ბე — 1 000 დოლარი გადავიხადეთ. ამ საბუთებით მივედით სახელმწიფოსთან და ავუხსენით, რომ საკუთრებაში უკვე ვფლობდით მიწის ნაკვეთების გარკვეულ რაოდენობას, მაგრამ გვინდოდა, 25 ჰა გადმოგვცემოდა, რათა გამაჯანსაღებელი ცენტრი აგვეშენებინა. სახელმწიფო მიწის ამ ნაკვეთებს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად იმ პირობით მაძლევდა, თუ 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას ჩავდებდი. უარი განვაცხადე, 1 ლარად არ ვიყიდდი. საბოლოოდ, მოვილაპარაკეთ, რომ 3 600 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განვახორციელებდი, ოღონდ მიწის ნაკვეთებს ერთიანი ფასით შევიძენდი.

— ასე რატომ მოიქეცით?

— აგიხსნით: ტყის ნაწილიც უნდა შემეძინა, სადაც 1 კვ.მ-ს ფასი 3 ლარი იყო, მინდვრების ნაწილში კი 1კვ.მ 12 ლარი ჯდებოდა, ყველაფერი ეს გავაერთიანეთ, გავყავით და, საბოლოოდ, 1 კვადრატულის ფასი 5 ლარი გამოვიდა.

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

კონტრაქტის მიხედვით, მიწებში 1 250 000 ლარს ვუხდი სახელმწიფოს და, მინიმუმ, 3 600 000 აშშ დოლარის ინვესტიციას ვდებ. გარდა ამისა, გამყავს გზა, მაგრამ ხარჯი ინვესტიციაში არ გვეთვლება. რაც მთავარია, კოჯრის ტყის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 60 ჰექტრისთვის უნდა მოგვევლო, რაც ასევე არ გვეთვლება ინვესტიციაში. არადა, 60 ჰა-ზე დასასვენებელი ადგილები, ფანჩატურები, საცხენოსნო და ველოსპორტისთვის საჭირო ბილიკებიც ჩვენი ხარჯით გავაკეთეთ. ფეიქრიშვილის გუნდი ამბობს, თითქოს სახელმწიფომ 5 ლარად მომყიდა 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. სინამდვილეში, ხომ ჩამოგითვალეთ, რა რაოდენობის თანხაც გადავიხადე. მეტიც, კონტრაქტის თუ რომელიმე ნაწილს დროულად არ შევასრულებ, ყველაფერს დავკარგავ.

— ალბათ, სასამართლო პროცესიც ხელს გიშლით, რომ კონტრაქტის პირობები შეასრულოთ. ვადებში ეტევით?

— სასამართლო პროცესი, რა თქმა უნდა, ხელს მიშლის. ალტერნატიული გზისთვის ზედმეტი ხარჯი იმიტომ გავიღე, რომ კონტრაქტის პირობები არ დამერღვია. ელექტროენერგია რომ ჩამიჭრეს, გენერატორები იმიტომ შევიძინე, რომ მუშაობა არ შემეჩერებინა, თან ყველაფერს იმ აქციების ფონზე ვაკეთებდი, რომელსაც ფეიქრიშვილის მომხრეები მიწყობდნენ.

წარმოიდგინეთ, მარტოხელა ქართველმა პეტერბურგში სამედიცინო იმპერია შევქმენი, სადაც ცნობილი და დაფასებული ვარ, საკუთარ სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ კი თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილმა კოჯრისა და წავკისის მოსახლეობა დაარწმუნა, თითქოს გამაჯანსაღებელ ცენტრს კი არ ვაშენებ, საქართველოში ტყის გასაჩეხად ჩამოვედი. იცით, ასეთი ხმა რატომ დაყარეს? — ტყის ტერიტორიის 60 ჰა-ზე ბილიკები რომ გავაკეთე, საქონელი მაინც საბალახოდ დაჰყავდათ, ამიტომ მავთულხლართებით შემოვღობე ის ნაწილი, რაც გავაკეთე და, რეალურად, სტრატეგიული შეცდომაც დავუშვი. ხალხს უთხრეს, თამაზ მჭედლიძემ შემოგითვალათ, ეს ტყე ჩემია და აქ აღარ იაროთო, რის გამოც მოსახლეობა სამართლიანად აღშფოთდა, ხალხის ადგილას მეც ზუსტად ასე მოვიქცეოდი.

რაც შეეხება ვადებს, კონტრაქტის მიხედვით, სამუშაოები 2014 წლის ბოლომდე უნდა დავასრულო.

— ხალხი იმასაც ამბობს, რომ თქვენი გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სინამდვილეში, ექსპრეზიდენტ მიხეილ საკაშვილის მამის, ნიკა სააკაშვილის საკუთრებაა. იცნობთ ბატონ ნიკას?

— არა, რას ამბობთ, ნიკა სააკაშვილი მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი და ისიც კი არ ვიცოდი, კურორტოლოგი თუ იყო.

— არც გიგი უგულავა გეხმარებათ ამ გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობაში?

— მეც გავიგე, თითქოს, გამაჯანსაღებელ ცენტრს კი არა, უგულავასთვის სასტუმროებს ვაშენებ, მაგრამ უგულავას საერთოდ არ ვიცნობ — ნანახიც კი არ მყავს.

— ფეიქრიშვილი ამბობს, რომ ვანო მერაბიშვილის ხელით ებრძვით. რა ურთიერთობა გქონდათ ყოფილ პრემიერთან?

— არავითარი, რადგან არც ვანო მერაბიშვილს ვიცნობ.

— იცით, როდის ან რის გამო დაიჭირეს ფეიქრიშვილი?

— ეს ამბავი გაგონილი მაქვს, მაგრამ დეტალები ნამდვილად არ ვიცი. ჩემმა გენერალურმა დირექტორმა იცის და მას ჰკითხეთ.

„ვერსია“ „მედგრუპ ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს, **მირიან ამირანაშვილს** დაუკავშირდა.

— ჭორის დონეზე რომ არ ვისაუბროთ, თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილის ძმის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დათმობის დოკუმენტი არსებობს, რომლის ასლი 2010 წელს ვნახე. თითქოს პროკურატურა გარდაბნის რაიონში მიწის ნაკვეთების საკუთრების კანონიერების საკითხს იძიებდა და მაშინ დააკავეს თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი. შესაძლოა, ეს ყველაფერი ჭორია, რადგან სამართალდამცავ ორგანოებში მისი დაკავების ან დაკითხვის დამადასტურებელი დოკუმენტიც ვერავინ ნახა. შესაძლებელია, ფეიქრიშვილი დოკუმენტის გარეშეც კი დაეკავებინათ, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ მისი დაკავება-დაკითხვის ოქმები მოგვიანებით გაანადგურეს.

— ჩვენი ინფორმაციით, სოსო თოფურიძემ და ვაჟა ლეღუაშვილმა დაიჭირეს ფეიქრიშვილი, რომელმაც სახელმწიფოს სასარგებლოდ 7 ჰა მიწის ნაკვეთი დათმო და ამის შემდეგ გაათავისუფლეს...

— ამის დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობს, მაგრამ ხალხში ასეთი ხმა ნამდვილად დადის. შესაძლოა, საქმე პროკურატურამ აღძრა და ფეიქრიშვილი სწორედ პროკურატურის საგამოძიებო სამსახურმა დააკავა. სხვათა შორის, ფეიქრიშვილის ძმის სახელზე გაფორმებული მიწის ნაკვეთი 900 000 ლარადაა შეფასებული, რომელიც მემკვიდრეობით დედისგან მიიღო და, მოულოდნელად, სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმო. ორი კითხვა ჩნდება, პირველი: რაღა მაინცდამაინც ფეიქრიშვილის დედის საკუთრებაში აღმოჩნდა თითქმის 1 000 000-ლარიანი მიწის ნაკვეთი და მეორე, რატომ აჩუქა შვილმა ანუ ფეიქრიშვილის ძმამ ეს ნაკვეთი სახელმწიფოს?

დედათა მონასტრის მონაზონი: „მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები უხრწნელი იყო!“

სამთავროს დედათა მონასტრის მონაზვნის, ალისიას თქმით, პირადად ესწრებოდა მამა გაბრიელის საფლავის გახსნას და ნახა, რომ დაუზიანებელი იყო მანტია, რაშიც გახვეული იყო მამა გაბრიელი.

„დავესწარი საფლავის გახსნას. ჭილობი, რაშიც მამა გაბრიელი იყო გახვეული, მთლიანად უხრწნელი იყო, დაუზიანებელი იყო ასევე მისი მანტია, ფეხსაცმელი ახალივით იყო, მუხლებამდე დავინახე მისი სხეული, რომელიც უხრწნელი იყო. ხორცი ჩვეულებრივი იყო, ფერი კი მუქი ყავისფერი ჰქონდა“, — აღნიშნა მონაზონმა.

დეკანოზ რევაზ სიხარულიძის თქმით კი, მამა გაბრიელის კუნთოვანი ქსოვილი შენარჩუნებულია.

როგორც დეკანოზმა განაცხადა, იგი ესწრებოდა მამა გაბრიელის საფლავის გახსნას და შეუძლია თქვას, რომ მამა გაბრიელის სხეულის ნაწილი უხრწნელია, ნაწილი კი — ხრწნადი. დეკანოზი ხაზს უსვამს, რომ წმინდანობა სხეულის ხრწნადობაზე კი არა, დამოკიდებულია მის საქმეებზე.

მისივე თქმით, წმინდანების უმრავლესობა ძვლის სახითაა წარმოდგენილი და ეს სრულიადაც არ აკნინებს მათ.

მამა გაბრიელის საფლავი 22 თებერვალს გაიხსნა.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ში მნიშვნელოვან შეხვედრებს გამართავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერის შეხვდება.

ღარიბაშვილი ვაშინგტონში ჯოზეფ ბაიდენის მიწვევით ჩავიდა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები თეთრ სახლში, ასევე მოლაპარაკებები გაიმართება აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან, რის შემდეგაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველო-ამერიკის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის პლენარულ სხდომას გახსნიან. ირაკლი ღარიბაშვილი და ჯონ კერი სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ.

აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვედრებს ამერიკელ სენატორებსა და კონგრესმენებთან, „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ აღმასრულებელ დირექტორ დანიელ იოჰანესთან, ატლანტიკური საბჭოს ხელმძღვანელებთან, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან, ამერიკის სავაჭრო პალატის პირველ პირებთან, აშშ-ს სტრატეგიული და საერთაშორისო ცენტრის მკვლევარებთან, ასევე ამერიკელ ბიზნესმენებთან გამართავს.

დაგეგმილია ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა ატლანტიკურ საბჭოსა და კოლუმბიის უნივერსიტეტში. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გვირგვინით შეამკობს უცნობი ჯარისკაცის საფლავს.

ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, აშშ-ში იმყოფება საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი, საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი პერტაია, მთავრობის საბჭოს ეკონომიკური საბჭოს ხელმძღვანელი რომან ჩხენკელი და მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე შედიან.

საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 28 თებერვალს დასრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

კიევში დაღუპული დავით ყიფიანი თბილისში ჩამოასვენეს

გვიან ღამით თბილისში, კიევში დაღუპული დავით ყიფიანი ჩამოასვენეს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ცხედარს ოჯახის წევრები, ახლობლები და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები დახვდნენ.

ოჯახის წევრების თქმით, ყიფიანის სიცოცხლე სნაიპერის ორმა ტყვიამ შეიწირა. დავით ყიფიანი კიევში არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფალ ზონას წარმოადგენდა.

„ინტერპრესნიუსი“

გედევან ფოფხაძე: „არავის ეგონოს, რომ ყველა პატიმარი გათავისუფლდება და ციხეებს დავხურავთ!“

რა ახალი რეგულაციები იქმნება პენიტენციალური სისტემის სამართავად

რუსუდან შელია
557-100-768

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „მაყურებლების“ არსებობას არც ადასტურებს და არც უარყოფს. ამასთან, არც იმის აღიარება უჭირს, რომ ოქროს შუალედის ძებნისას ციხეებში მნიშვნელოვანი პრობლემები ჩნდება. რატომ ვერ წესდება საპყრობილეში სრული კონტროლი, რა რეგულაციები იქმნება პენიტენციალური სისტემის სამართავად და გადაიყვანეს თუ არა რუსთავიდან გეგუთის ციხეში პატიმრების პროტესტის ჩასახშობად „გასტროლიორი ქურდები“? — „ვერსიას“ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გედევან ფოფხაძე ესაუბრა.

— პენიტენციალური სისტემის სამართავად ოქროს შუალედს ვეძებთ. დაუშვებელია ციხის მართვა პატიმრებზე ძალადობით, წამებითა და არაადამიანური მოპყრობით, პირიქით, მათი უფლებების დაცვა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. მართალია, ზოგჯერ პატიმრების მოთხოვნებიც გადაჭარბებულია, მაგრამ მსჯავრდებულების მიმართ მთავრობის ზოგადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ევროპულ სტანდარტამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ.

— ევროპულ სტანდარტებამდე, ციხეებში, ადმინისტრაციული უკონტროლობის გამო, „მაყურებელთა ინსტიტუტი“ ძლიერდება...

— ციხეებში „მაყურებლების“ არსებობას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. პირადად მე, ვერ შევატყვე, რომ ციხეებს „მაყურებლები“ მართავენ, მაგრამ იმის თქმაც დაუშვებელია, რომ ამ მიმართულებით პრობლემები არ არსებობს. გეგუთის ციხეში პატიმრებსა და ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას შევნიშნე, რომ ხარვეზები, ძირითადად, მართვის კუთხითაა. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციის მიმართულებით წესები მკაცრდება. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებებისა და აკრძალული ნივთების შეტანა მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს. შესაძლოა, ეს პროცესი ვიღაცისთვის პროტესტის საფუძველი გახდეს, მაგრამ ციხეს მხოლოდ ადმინისტრაცია უნდა მართავდეს. არ მგონია, „მაყურებლების“ არსებობა პატიმრებისთვისაც კომფორტული იყოს. პატიმრების მიერ მართული ციხე თავად მსჯავრდებულებს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს, ზოგადად კი, „მაყურებელთა ინსტიტუტის“ გაძლიერება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მსგავს შემთხვევებზე ადმინისტრაცია თვალს დახუჭავს.

— ბატონო გედევან, სოზარ სუბარის მსგავსად, თქვენც ფიქრობთ, რომ პრობლემა მხოლოდ ადმინისტრაციის თანამშრომლებშია, რომელთა ნაწილი, თურმე, პატიმრებს პროტესტისკენ მოუწოდებს თუ სამინისტროა ისეთი სუსტი, რომ პატიმრები არ ემორჩილებიან?

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულების სისტემაში იდეური ცვლილება განხორციელდა — პატიმრების მიმართ დამოკიდებულება კეთილგანწყობით შეიცვალა, თუმცა არავის ეგონოს, ყველა პატიმარი გათავისუფლდება და ციხეებსაც დავხურავთ. თუ ერთი პატიმარი დანარჩენი მსჯავრდებულებისთვის საშიშია, ბუნებრივია, სასჯელის მოხდა ჩვეულებრივზე რთულ პირობებში მოუწევს. კრიზისულ ვითარებაში ადმინისტრაციის თანამშრომელს ლეგალური ძალადობის გამოყენების უფლება აქვს, თუმცა მხოლოდ კანონით რეგულირებად ჩარჩოებში. ამიტომაც ვამბობთ, რომ ადმინისტრაციის მიმართულებით მოთხოვნები გამკაცრდება.

— გამოდის, პატიმრებზე ძალადობა ახლა უკვე კანონის სახელით განხორციელდება?

— პატიმრების ძალადობაზე ორიენტირებულნი არ ვართ, პირიქით, ციხეებში კონტროლი მსჯავრდებულებთან თანამშრომლობით უნდა დავამკვიდროთ. კანონის გამკაცრებაც არავის უნდა გაუკვირდეს, რადგან როცა პატიმარი მეორე მსჯავრდებულს ურტყამს, ადმინისტრაციის თანამშრომელი ვითარების განმუხტვას თბილი სიტყვებითა და ხვეწნა-მუდარით ვერ შეძლებს. მსგავს შემთხვევებში ძალა მანაც უნდა გამოიყენოს, თუმცა მხოლოდ ადეკვატური და რეგლამენტირებული. ახალ რეგულაციებზე პარლამენტი უკვე მუშაობს და ციხეებშიც ვითარება ბევრად კონტროლირებადი იქნება.

— გეგუთის ციხეში პატიმრების პროტესტის განსამუხტად რუსთავიდან „მაყურებლები“ მართლა ჩაიყვანეს?

— საბედნიეროდ, გეგუთის ციხეში არსებულმა პროტესტმა უკიდურესი ფორმა არ მიიღო. რაც შეეხება რუსთავიდან გადაყვანილი „მაყურებლების“ შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებას, ამ შემთხვევაშიც, ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. არ მგონია, რუსთავის ციხეში „გასტროლიორი ქურდები“ ჰყავდეთ, რომლებიც დაძაბული ვითარების განსამუხტად ციხიდან ციხეში დაჰყავთ.

— სასჯელაღსრულების მინისტრისგან ისიც მოვისმინეთ, პატიმრების პროტესტი გარედან მართულიაო და ირიბად, ნანა კაკაბაძეზე მიანიშნა. თუ სოზარ სუბარის განცხადება სიმართლეს შეესაბამება, შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება დღემდე რატომ არ მოხდა?

— მინისტრს ჩემზე მეტი ინფორმაცია აქვს, თუმცა გამოვრიცხავ, ნანა კაკაბაძე ამ პროცესში ჩართული იყოს. ის სისხლისმსმელი და ძალადობის მოყვარული ადამიანი ნამდვილად არ არის. თუ პატიმრების პროტესტი რეალურად გარედან იმართებოდა, შესაბამისმა ორგანოებმა რეაგირება უნდა მოახდინონ. ეს სახელმწიფოს ინტერესებს აზიანებს. არ მგონია, პროტესტის უკიდურესი ფორმით გამოხატვა პატიმრებისთვისაც მომგებიანი იყოს. კარგი პირობების შემთხვევაშიც კი, ციხეში დარჩენის ინტერესი არავის აქვს. ისე, იყო პერიოდი, როცა პატიმრების კატეგორია ფიქრობდა, რომ მთელი ცხოვრება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გაეტარებინა. საბედნიეროდ, მსგავსი აზროვნება დღეს არავის აწუხებს. პირიქით, ამნისტიის შემდეგ, ყველა პატიმარი თავისუფლებას ითხოვს.

— ისე, ამნისტიის კანონს საზოგადოების ნაწილი დღესაც ნელი მოქმედების ნაღმად აფასებს. ამნისტირებული პატიმრების მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობას იღებთ?

— საყოველთაო ამნისტიას ნელი მოქმედების ნაღმად ნამდვილად არ შევაფასებ. ეს იყო აუცილებლობა და ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა. მაშინ, ქვეყანაში 24 ათასი პატიმარი იყო — მათ არაადამიანურად ეპყრობოდნენ, ამიტომ დაზარალებული ადამიანებისთვის ადეკვატური კომპენსაცია უნდა მიგვეცა. თითოეულ პატიმარს, ავტომატურ რეჟიმში, სასჯელის მეოთხედი ჩამოაკლდა, ნაწილი კი გათავისუფლდა.

არ მგონია, ამით სახელმწიფომ დიდი ზიანი მიიღო. ჩვენი ოპონენტები ამ თემით სპეკულაციას ტყუილად ცდილობენ. მიმაჩნია, რომ ამნისტიის შედეგად ყველანი თავისუფალი ადამიანები გავხდით. სწორედ ამნისტია გახდა ჩემთვის წყალგამყოფი ძველსა და ამჟამინდელ საქართველოს შორის. მაშინ ყველანი ვცხოვრობდით რეალობაში, სადაც ადამიანებს სასტიკად ეპყრობოდნენ და თითოეული ჩვენგანი ძალადობის თანამონაწილი იყო.

— ბატონო გედევან, მაინც ვერ გავიგე, როგორია ციხეებში მმართველი გუნდის სტრატეგია...

— თუ პატიმრების დიფერენცირება და კრიტერიუმებად დაყოფა არ მოხდა, პრობლემა ვერ მოგვარდება. დაუშვებელია ერთ კამერაში მსუბუქი და მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირები ხვდებოდნენ. როცა ინფრასტრუქტურული საკითხები მოგვარდება, ყველა პრობლემა გადაწყდება და რეალობაც უკეთესობისკენ შეიცვლება. გარკვეული სამუშაოები ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია, თუმცა შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ციხე ევროპული სტანდარტის გახდება, როცა დანარჩენი საქართველო მესამე მსოფლიოს ნაწილად ითვლება. თუ ქვეყანა ვითარდება, მისი მთლიანი ინსტიტუციაც აღმავლობას განიცდის. როცა ადამიანები გარეთ, თავისუფლებაში უკეთეს პირობებში იცხოვრებენ, ციხეებში არსებული მდგომარეობაც გაუმჯობესდება. სასჯელაღსრულების სისტემაში იმაზე უკეთესი პირობები რომ იყოს, ვიდრე გარეთაა, ყველა ციხეში მოხვდებოდა. ასე რომ, რეალობა ასეთია — საქართველო ნელი ტემპით ვითარდება.

— ტემპების დასაჩქარებლად ხელისუფლება რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს? აიდი ბარათების საკითხიც კი ვერ გადაიჭრა იმ ადამიანებთან შეუთანხმებლად, რომლებიც მას ეშმაკის ნიშნად მიიჩნევენ.

— არ მგონია, პროგრესს ვეწინააღმდეგებოდეთ. აიფონი მექნება თუ ასლარიანი ტელეფონი, ეს ჩემი პროგრესულობის მაჩვენებელი არაა. მსგავსი დამოკიდებულება უფრო მოდას აყოლას ჰგავს. ფაქტია, ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც გარკვეული მოტივებით აიდი ბარათის აღებაზე უარს აცხადებენ. მეც არ მაქვს აიდი ბარათი და, როცა ვიღაც მის აღებას მაიძულებს, ყოველთვის მიჩნდება შინაგანი პროტესტი და განცდა: რა მიზნით მაიძულებენ იმას, რაც არ მინდა?

— აიდი ბარათებს ევროპული კონვენცია არ გვავალდებულებს?

— ევროპული კონვენციას მსგავსი მოთხოვნა არ აქვს, ამიტომ არავინ დაზარალდება, თუ ქვეყანაში რამდენიმე ათას ადამიანს პირადობის მოწმობად ლამინირებულ, ჩარჩოში ჩასმული ქაღალდი ექნება. თუ გვინდა, რომ მწყობრი მმართველობის სისტემა შევქმნათ, იძულებით წესებს არ უნდა ვადგენდეთ.

ვერსიანიუსი

რატომ არ სრულდება მონოპოლია სამარშრუტო ტაქსებზე

„თავისუფალი საქართველო“ სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა სამართლიან მოთხოვნებს მხარს უჭერს და, როგორც პარტიის გენერალური მდივანი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, ნაციონალური მოძრაობის მიერ მონოპოლიზებული ეს ბიზნესი კერძო სექტორს უნდა დაუბრუნდეს.

„რამდენიმე დღის წინ, ნომერი 140 და 149 სამარშრუტო ხაზების მძღოლები გაიფიცნენ, რომლებიც ყოველდღიურ, ისედაც მაღალი 55-ლარიანი გადასახადის 10 ლარით გაზრდას აპროტესტებენ. ყველაფერი კი იმითაა გამოწვეული, რომ თბილისში სამარშრუტო ხაზების მონოპოლისტი მხოლოდ ერთი კომპანიაა და ამიტომ კონკურენტული, თავისუფალი საბაზრო გარემო არ არსებობს... 2011 წელს, ნაციონალური მოძრაობისა და, კერძოდ, გიგი უგულავას მიერ უკანონოდ მონოპოლიზებული ეს ბიზნესი კერძო სექტორს უნდა დაუბრუნდეს, რის შემდეგაც კერძო ბიზნესში ასობით ადამიანის ჩართვა გახდება შესაძლებელი ანუ შრომის ღირსეული ანაზღაურებითა და პირობებით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამასთან, ასიათასობით მგზავრი იაფად და კომფორტულად გადაადგილდება.

ამ დარგში მონოპოლიის დასრულებას ხელს ისევ ნაციონალური მოძრაობა უშლის, რომელსაც მერიის აღმასრულებელ სტრუქტურებში ძალაუფლება აქვს... ვიდრე მონოპოლია ჩამოყალიბდებოდა, მგზავრობა 50 და 30 თეთრიც ღირდა, რადგან მაშინ ჯანსაღი კონკურენცია არსებობდა და ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი მგზავრი ჰყოლოდა“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას შალამბერიძე.

მერაბ ბერიძე

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

სვამდნენ თუ არა ძველად ქართულ სუფრაზე პატრიარქის სადღეგრძელოს

როგორ დამკვიდრდა „ვახტანგური“, რას ეძახდნენ ჩვენი წინაპრები თამადასა და სადღეგრძელოს

დიდი ქართველი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილსა და დრამატურგ ლაშა თაბუკაშვილს შორის მომხდარმა მცირე უთანხმოებამ, რომელიც ივანიშვილის მიერ საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის სადღეგრძელოს არდალევას მოჰყვა, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამ ფონზე, საინტერესოა, როგორია ტრადიციული ქართული სუფრა და ვის სადღეგრძელოებს სვამდნენ ჩვენი წინაპრები? — „ვერსია“ ისტორიკოს-ეთნოგრაფის, გიორგი გოცირიძის მეცნიერულ მოსაზრებებს გთავაზობთ.

— მტრის შემოსევების გამო ბევრი წერილობითი წყარო დაკარგულია, ამიტომ ტრადიციული სუფრის თანმიმდევრული აღწერილობა გამოკვეთილად არსად ჩანს, თუმცა აღდგენილია შარდენისდროინდელი ქართული სუფრის წესი, რომელიც საქართველოში მე-18 საუკუნეში მოგზაურობდა. შარდენის თქმით, როცა მასპინძლები სიტყვას ამბობდნენ, სუფრაზე არაჩვეულებრივი წესრიგი იყო. აქ ლაპარაკია სადღეგრძელოზე — ამ მაგიურ, ღვთისადმი აღმართულ სიტყვას, თურმე, ფეხზე ამდგარი წარმოსთქვამდნენ, თუმცა მაშინ ტერმინი „სადღეგრძელო“ არ არსებობდა და ამ სიტყვას წარსათქმელი ანუ პირველად სათქმელი სიტყვა ეწოდებოდა. სუფრა საწესო იყო და, ხშირად, საკრალურ, დადგენილ წესებს მოიცავდა.

პირველ სათქმელ სიტყვას იწყებდა ღვთის მსახური, იხსენებდა უფალს, მეფესა და სამშობლოს, რასაც დანარჩენებიც იმეორებდნენ. პერსონალური პირების დღეგრძელება ქართულ სუფრას გაცილებით გვიან, თავადაზნაურთა მიერ დაემატა, რათა დროსტარებისა და მოლხენის მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ. სუფრამ თანდათან ტრანსფორმაცია განიცადა, ძველებური წესრიგი დაიკარგა და ახლა, მაპატიეთ და, სადღეგრძელოებს ქალის ფეხსაცმლითაც კი სვამენ. ადრე სუფრასთან ბავშვები და უცოლშვილოები არ სხდებოდნენ, სუფრასთან, პურისჭამის გარდა, მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა და თრობა დაუშვებელი იყო.

საერთოდ, სუფრის ინსტიტუტი ასე დატვირთული სხვაგან არსადაა და, თუ რომელიმე ერში სიტყვა „თამადას“ გაიგებთ, იცოდეთ, რომ ქართულიდანაა წაღებული, თუმცა თავად სიტყვა არაქართულია. თამადას ძველად წინამძღოლს, წინამძღვარს, პურის უფალს უწოდებდნენ. პურის უფლის ფუნქციას მხოლოდ სასულიერო პირი კი არა, ოჯახის უფროსიც ასრულებდა...

— ბატონო გიორგი, ძველად სუფრაზე პატრიარქის სადღეგრძელოს სვამდნენ?

— ეკლესია-მონასტრებში და, საერთოდ, იმ ოჯახებში, სადაც საწესო სუფრებს მართავდნენ, ყოველთვის ამბობდნენ წმინდა სალოცავების, წმინდანების, გმირების, მეფეებისა და სამშობლოს სადიდებელს, მაგრამ რამდენად იხსენიებოდა პატრიარქი, ამის დამადასტურებელი ისტორიული დოკუმენტი არ გვაქვს. ეს ათეისტურ პერიოდშიც წარმოუდგენელი იყო და აქედან გამომდინარე, პატრიარქის სადღეგრძელო ახალი დამკვიდრებულია.

— ბიძინა ივანიშვილის ცნობილი პროტესტის შემდეგ, ბევრი მიიჩნევს, რომ სუფრაზე პატრიარქის სადღეგრძელოს დალევა არაეთიკურია, რამეთუ სუფრასთან, შესაძლოა, სხვა აღმსარებლობის სტუმარიც იმყოფებოდეს...

— ძნელია, მეცნიერმა კომენტარი საკუთარი შეხედულების საფუძველზე გააკეთოს, თუმცა, თუკი, მაგალითად, სომხეთში მოხვდებით და, როგორც სტუმარი, პატივისცემის ნიშნად, იქაური პატრიარქის სადღეგრძელოს დალევთ, ამაში ცუდი არაფერია. იგივე მდგომარეობა იყო ჩვენთანაც, როცა მეფეს ან რომელიმე სხვა საპატიო პირს ადღეგრძელებდნენ, სუფრასთან მყოფი სტუმარი, ვინც უნდა ყოფილიყო, არ აპროტესტებდა. როცა ურთიერთობა კულტურული და ჰარმონიულია, ერთმანეთის სალოცავებს, წმინდანებსა და სუფრის ტრადიციებსაც პატივი უნდა ვცეთ... მოკლედ, ნუ ვიქნებით ძალიან კრიტიკულები და ვეცადოთ, ეს პროცესი საღი თვალით დავინახოთ.

— ბატონო გიორგი, თუ იცით, ე.წ. ვახტანგური ქართულ სუფრაზე როგორ დამკვიდრდა?

— ბრუდერშაფტ „ვახტანგურის“ გერმანული დასახელება. მას შემდეგ, რაც პეტრე პირველმა ევროპასთან „ფანჯარა გახსნა“, იქაური წესები შემოვიდა და, როცა ვახტანგ მეფე თავის ამალით რუსეთში, ანა იოანეს ასულის კარზე ჩავიდა, დიდი, ევროპული ასამბლეა (ჩვენებური დარბაზობა) გაუმართეს და სასმისებს მხარი-მხარ მიდებული სვამდნენ, მერე, ერთმანეთს ხელებს აჭდობდნენ და ეამბორებოდნენ. „ვახტანგური“ ერთობის სიმბოლოა და რადგან ჩვენს კულტურაში მსგავსი გამოხატულება ბევრგანაა, მაგალითად, ქორეოგრაფიაში, კერძოდ, ხორუმში, „ვახტანგური“ მაინც ქართული მგონია, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა.

— რა სპეციფიკური ტრადიციები ახასიათებს სხვადასხვა კუთხის, მთისა და ბარის სუფრას?

— რადგან მთაში ვენახი არ ხარობდა, ხატობებსა და სხვა დღეობებზე იხარშებოდა წმინდა სასმელი — ლუდი, მეორე სასმელი კი, შინნახადი არაყი იყო, რომელსაც ჟიპიტაური ეწოდება. მთაში ის ადათ-წესები, რომლებიც არქაული პერიოდიდან მოგვდგამს, ახლაც შემონახულია: სუფრა იწყება მთიელთა სალოცავების დღეგრძელებით და ამავე სადღეგრძელოთი მთავრდება. როცა მთიდან ბარში სახლდებოდნენ, მთიელებს თავიანთი სალოცავის ნიში ჩამოჰქონდათ და წეს-ჩვეულებებს ბარში აგრძელებდნენ. ასე მოხდა ბარის ელემენტებისა და მთის კულტურის შერწყმა.

— ისტორიულად, ჭეშმარიტი ქართული პურისჭამა როგორ მთავრდებოდა?

— ბოლოს, ყოვლადწმინდის სადღეგრძელო ითქმებოდა და ახლაც ასეა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს სადღეგრძელო ღვთისმშობელ მარიამს უკავშირდება, მაგრამ ჩემი აზრით, ამ სადღეგრძელოში ყველა წმინდა სალოცავი იგულისხმება... ტრადიციული ქართული სუფრა იწყება სიტყვებით: „უფალი შეგვეწიოს“, თუმცა სხვადასხვა კუთხეში ესეც ინტერპრეტირებულია, მაგალითად, გურულები უფალს, თავდაპირველად, მშვიდობას ავედრებენ. არის კიდევ ერთი, მხიარული მომენტი დასავლეთ საქართველოში, რაც აღმოსავლეთშიც მინახავს: როცა სტუმარს გაისტუმრებენ, გზის დასალოცად, ჭიშკართან, კიდევ ერთხელ სვამენ სადღეგრძელოს, რომელსაც საკარისს, საჭიშკრეს ეძახიან; ასევე, გვაქვს ძალიან საინტერესო რიტუალური სასმისები — აზარფეშა, ყანწი და ბევრი სხვა.

ქართულ სუფრას აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს. ქართული სუფრის ტრადიცია თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს, რადგან ეს ტრადიცია დახვეწილი და მაღალზნეობრივი ღირებულებებით გაჯერებული აკადემიაა. ისე, სიმღერები — არაჩვეულებრივი მრავალხმიანობა, ქეიფის გარეშე ხომ არ შეიქმნებოდა? ამიტომ, ყოველივე ამას გაფრთხილება სჭირდება!

ვერსიანიუსი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთის ნაკრები დაამარცხა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ერთა თასის 2014 წლის გათამაშებაში რუსეთის ნაკრებს უმასპინძლა, ანგარიშით 36:10 დაამარცხა და ამ მოგებით 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. საქართველოს ნაკრებმა პირველი ტაიმი „დინამო არენაზე“ ანგარიშით 10:7 მოიგო.

თამაშს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე.

მატჩი უკრაინაში დაღუპულთა პატივსაცემად წუთიერი დუმილით დაიწყო. სტადიონზე გულშემატკივრებს მიტანილი ჰქონდათ უკრაინის დროშები, ერთიანი საქართველოს რუკა და ბანერი — „აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა“. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეროვნულმა ჰიმნმა ქართველი გულშემატკივრების სტვენის ფონზე ჩაიარა.

ქართველ და რუს მორაგბეებს შორის, გუშინდელი მატჩის ჩათვლით, 18 შეხვედრა გაიმართა, ჩვენმა მორაგბეებმა 16 მოიგეს, ერთი წააგეს და ერთი შეხვედრა ფრედ დასრულდა.

„ინტერპრესნიუსი“

რეკორდსმენი გისოსებსმილმა აღმოჩნდა

ბრიტანელი პატრიკ რაიანი ციხის კედლებში აღმოჩნდა, არადა, სავსებით შესაძლებელი იყო, გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრილიყო — მის მიერ დამყარებული გასაოცარი რეკორდი ეჭვს ნამდვილად არ იწვევს: ქალაქ ბლექპულის მცხოვრებმა რაიანმა 422-ჯერ ისადილა და ივახშმა ინგლისის რესტორნებში ისე, რომ ერთი გირვანქაც არ დაუხარჯავს და ამას პოლიციის ოქმებიც ადასტურებს. თაღლითი ბრიტანელი სამართალდამცავებს მრავალფეროვნებით არ ანებივრებდა: „გადაგდება“ ყოველთვის ერთი და იგივე სქემით ხდებოდა — გარანტიის სახით, მაგიდაზე დესერტს ტოვებდა, ოფიციანტს აფრთხილებდა, რომ მოსაწევად გადიოდა და უჩინარდებოდა. იგი ერთ-ერთი მორიგი „უფასო“ ვახშმის შემდეგ აიყვანეს, როცა 52 გირვანქა სტერლინგის გადახდას კვლავ გაქცევა ამჯობინა, თუმცა იტალიურ სამზარეულოს ძვირადღირებული ღვინო დააყოლა და როგორც ჩანს, ამან მოადუნა.

მეთევზემ რამდენიმე მილიონად შეფასებული მორი „დაიჭირა“

ჩინელმა მეთევზემ ხის უზარმაზარი ნაჭერი ამოიღო წყლიდან, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მილიონობით დოლარი ღირს. მამაკაცი მეტად გუნებაწამხდარი იყო ამ უჩვეულო „ნადავლის“ გამო, მაგრამ უცებ მკვეთრი სუნი იგრძნო. როცა ხის მორს ქერქიდან პატარა ფენა აათალა, მაშინვე მიხვდა, რომ არწივის ხის უზარმაზარი მორის პატრონი გახდა, რომელიც ალოეს ხის სახელითაცაა ცნობილი და მედიცინასა თუ პარფიუმერიაში გამოიყენება. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ხის უშველებელი ნაჭერი, 3-მეტრიანი დიამეტრით, ნამდვილად არწივის ხე იყო და ის 128 მილიონი აშშ დოლარი ღირს. მეთევზე აპირებს, გაყიდოს ეს იღბლიანი „ნადავლი“ და მიღებული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოახმაროს.

ყველაზე „გავლენიანი“ შოკოლადი

პოპულარულმა ჟურნალმა Time უჩვეულო რეიტინგი შეადგინა, სადაც ის შოკოლადები შევიდა, რომელიც ყველაზე გავლენიანი აღმოჩნდა მსოფლიოს საკონდიტრო ინდუსტრიაში. გამოცემის მოსაზრებით, საზოგადოებაზე ყველაზე დიდ გავლენას Kit Kat ახდენს. შოკოლადის შეფუთვაში ორი ბატონი დევს და ერთი შეგიძლიათ, ვისაც გინდათ, იმას უწილადოთ. რეიტინგის მეორე ადგილზე Hershey's-ს რძიანი შოკოლადის ფილა გავიდა, საპატიო სამეულში ერგო ადგილი Toblerone-ს — ეს შვეიცარული კომპანია მსოფლიო საკონდიტრო ინდუსტრიის გიგანტად ითვლება. ყველაზე გავლენიანი შოკოლადის საუკეთესოთა ხუთეულს კი Nestle და Snickers ასრულებენ.

ჯეკსონის ფანებს მორალური ზიანი აუნაზღაურეს

საფრანგეთში მაიკლ ჯეკსონის ფანებმა მიაღწიეს იმას, რომ სასამართლომ მათთვის მორალური ზიანის ანაზღაურების განაჩენი გამოიტანა. მოსამართლემ დაადგინა, რომ მომღერლის სიკვდილში დამნაშავედცნობილმა ექიმმა, კონრად მიურეიმ ჯეკსონის ხუთ ფანატს, კომპენსაციის სახით, თითო ევრო უნდა გადაუხადოს. მოსარჩელეთა ადვოკატი აცხადებს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, ეს ისტორიაში მორალური ზიანის ანაზღაურების პირველი პრეცედენტია, რომელიც დაზარალებულს მისი კერპის გარდაცვალებით მიადგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ პოპის მეფის თაყვანისმცემლები ჯეკსონს პირადად არ იცნობდნენ. სარჩელით სასამართლოს მომღერლის 34-მა ფანმა მიმართა, კომპენსაცია კი მხოლოდ ხუთს მისცეს, რომელთაც სასამართლოზე დაამტკიცეს პირადი ზიანი „მოწმეების ჩვენებებითა და სამედიცინო ცნობებით“. ჯეკსონის თაყვანისმცემლები იმედოვნებენ, რომ თუნდაც მიურეიმ მათ თანხა არ გადაუხადოს, დაზარალებულის სტატუსით შეძლებენ ლოს-ანჯელესში, მომღერლის დახურულ სასაფლაოზე შეღწევას.

ამერიკელებს ფარაონებივით დამარხავენ

იუტას შტატში დამკრძალავი სააგენტო „სუმუმი“ ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც კლიენტებს მუმიფიკაციის სერვისს სთავაზობს. ეგვიპტელი ფარაონივით დაკრძალვის მსურველებს, გარდაცვალების შემდეგ მუმიფიკაციის პროცედურას უტარებენ და ფირმის 30-წლიანი მუშაობის განმავლობაში, ასეთი უკვე 1500 ადამიანი მოგროვდა მსოფლიოს ყველა წერტილიდან. აღსანიშნავია, რომ სოლტ-ლეიკ-სიტიში მდებარე კომპანიის შეთავაზება არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ მათ საყვარელ ოთხფეხა მეგობრებსა და ფრინველებზეც ვრცელდება. მთელი პროცედურა ძველი ეგვიპტის რიტუალებთან მკაცრი შესაბამისობით ტარდება — გარდაცვლილის ორგანოებს იღებენ და ასუფთავებენ, სხეულს კი 70 დღით სპეციალურ ქიმიურ ხსნარში ათავსებენ. ამის შემდეგ გვამს ცვილითა და ლანოლინით ფარავენ, მერე მარლასა და მინაბოჭკოვან ქსოვილში ახვევენ, საბოლოოდ კი, ცხედარი ფოლადის ან ბრინჯაოს სარკოფაგში თავსდება. მუმიფიკაციის ღირებულება არც ისე იაფია, მაგალითად საყვარელი კატის „ფიტულის“ გაკეთება 6 ათასი დოლარი ჯდება, ძაღლისა — 25 ათასი, ადამიანის სხეულის მუმიფიკაცია კი, სულ ცოტა, 67 ათასი დოლარი ღირს.

ატამი ახალგაზრდობას შეგინარჩუნებთ

სწავლულები აცხადებენ, რომ ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ჩვეულებრივი, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ხილი დაგვეხმარება — ატამს, გადაჭარების გარეშე შეგვიძლია ვუწოდოთ სუპერპროდუქტი არაჩვეულებრივი თვისებების გამო. ატამი შეუცვლელია კულინარიასა და კოსმეტოლოგიაში, მედიკოსებიც გვიმტკიცებენ, რომ ის სიბერეს ყველაზე უკეთ ებრძვის. თუ მას სწორად გამოვიყენებთ კოსმეტოლოგიაში, უძლიერეს ეფექტს მივიღებთ კანის გაახალგაზრდავების მხრივ. გარდა ამისა, ატამი შეუცვლელია ფილინგის დროსაც — რაც უფრო წვნიანი და ტკბილია, კანი დიდხანს ინარჩუნებს სიგლუვესა და სინაზეს, ატმის რბილობი კი გაჯერებულია ნივთიერებათა კომპლექსით, რომელიც კანს კვებავს და მის ჰიდრობალანსს იცავს. ატამი ასევე ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, იცავს გულის დაავადებებისგან, ეფექტურად ეხმარება ადამიანს დეპრესიული და სტრესული სიტუაციების გადალახვაში. ატმის რეგულარულად მირთმევისას ტვინიც უკეთ მუშაობს.

ავსტრალიელმა მილიონობით ჩვილი ქალაქში

ავსტრალიელი მამაკაცი, 74 წლის ჯეიმს ჰარისონი ნამდვილი სუპერგმირია. ერთი შეხედვით ამ ჩვეულებრივმა ადამიანმა, ბოლო 54 წლის განმავლობაში ორ მილიონზე მეტი ახალშობილის სიცოცხლე იხსნა. ბევრს ეს წარმოუდგენლად მოეჩვენება, მაგრამ ფაქტია — ჰარისონს განსაკუთრებული ტიპის სისხლი აქვს — მისი პლაზმა ანტისხეულებს შეიცავს, რომელიც რეზუს-კონფლიქტით — ანემიის სერიოზული ფორმით დაბადებულ ჩვილებს განკურნებაში ეხმარება. ჯეიმსმა სისხლის ჩაბარება დაიწყო და ამას კვირაში რამდენჯერმე აკეთებდა. სხვების დახმარების მოტივაცია მას 14 წლის ასაკში გაუჩნდა, როცა თავად დასჭირდა სისხლის გადასხმა — მაშინ 13 ლიტრი სისხლი გადაუსხეს და თავს პირობა მისცა, რომ, როგორც კი გამოჯანმრთელდებოდა, აუცილებლად გახდებოდა დონორი. თანაც, სისხლში სამკურნალო ანტისხეულები აღმოაჩნდა და მართლაც ძვირფასი დონორი გახდა. ჯეიმსის სიცოცხლე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მაშინვე მილიონ დოლარად დააზღვიეს: მისი სისხლის დახმარებით მეცნიერებმა შეიმუშავეს სპეციალური ვაქცინა, რომელსაც ახლა ყველა რეზუსუარყოფითიან ორსულს უკეთებენ.

სურნელს თვალებით ვგრძნობთ

არომატული ვარდი კიდევ უფრო სურნელოვანი გახდება, თუკი მას ღია ბარათიც მოყვება სასიამოვნო სიტყვებითა და კეთილი სურვილებით. კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანი სუნს არა მხოლოდ ცხვირით, არამედ თვალებითაც გრძნობს. მონრეალის უნივერსიტეტის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ სურნელი სხვადასხვაგვარად აღიქმება, იმისდა მიხედვით, რა „აღწერილობა“ მოყვება მას, მაგალითად, ეტიკეტები სუნამოებზე, რომელსაც ვყნოსავთ. ექსპერიმენტში მონაწილეებს შესთავაზეს, დაეყნოსათ წიწვის ზეთი, გერანიოლი, კვლიავი (ტმინი) და ყველი პარმეზანი... ყოველ მათგანს ახლდა დადებითი ან უარყოფითი აღწერა, რაც კომპიუტერის ეკრანზე აისახებოდა, შედეგად კი აღმოჩნდა, რომ პოზიტიური შეფასების მქონე პროდუქტი ექსპერიმენტის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს. ვიზუალური აღქმა, გემრიელი აღწერით იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ არასასურსათო პროდუქციაც კი მადისაღმძვრელი აღმოჩნდა, უსიამოვნო წარწერების შემთხვევაში კი, უკუეფექტი გამოვლინდა. მოკლედ, დასკვნა ასეთია: ჩვენი ყნოსვა არ არის ობიექტური და დამოკიდებულია იმ კოგნიტურ ინტერპრეტაციებზე, რასაც პროდუქტის ეტიკეტზე ვხედავთ.

სუდოკუ

ადვილი

	5	4	7			9		
	3				5	6		
	8			2	9			
	1			7		2	6	
	6	5		9			1	
			5	3			2	
		2	9				5	
		1			6	8	9	

სტანდარტი

9								
5		2		7		6		
	3	8	2				9	
	8	7		4	3			
				2				
			9	5		7	2	
	2				7	3	8	
		4		1		2		9
								6

რთული

	1				5			
4	2			7			8	
			2	3	4			
					6		7	
2		8				6		4
	3		4					
			3	9	1			
	7			8			4	9
			5				6	

ექსპერტი

	4	3			8		2	5
2	7			5				
							4	
				9			7	
7	5		3	2	1		8	6
	9			7				
	3							
				8			1	9
5	1		7			2	3	

მეცნიერებმა ადამიანის ფილტვი „გამოზარდეს“

ამერიკელმა მეცნიერებმა უდიდესი ნაბიჯი გადადგეს, რომელმაც მომავალში, შესაძლოა, ორგანოების ტრანსპლანტოლოგიაში რევოლუცია მოახდინოს — კაცობრიობის ისტორიაში პირველად, ლაბორატორიაში ადამიანის ფილტვი „გამოიყვანეს“ და ამ ორგანოს გამოზრდის ტექნოლოგია 2010 წელს შეიმუშავეს. მას შემდეგ ცდები მიმდინარეობდა ვირთხებსა და ღორებზე. ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ორი გარდაცვლილი ბავშვის ფილტვები გამოიყენეს, ერთისგან მხოლოდ შემაერთებელი ქსოვილის „ჩონჩხი“ დატოვეს, რომლის ძირითადი კომპონენტები კოლაგენი და ელასტინი იყო, ამ კონსტრუქციაზე მიამაგრეს მეორე ფილტვის უჯრედული მასალა, მიღებული ნიმუში კი სპეციალურ კამერაში მოათავსეს, რომელიც მკვებავი სითხით იყო სავსე. ერთი კვირის შემდეგ ადამიანის სრულფასოვანი ფილტვები მიიღეს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შეუძლიათ, გაიმეორონ ექსპერიმენტი, თუმცა სულ მცირე, 12 წელი მაინც დასჭირდებათ, ვიდრე ლაბორატორიაში „გამოზრდილი“ ფილტვის ტრანსპლანტაცია რეალობად იქცევა.

ყურძენი ქიმიოთერაპიის მავნე გავლენისგან იცავს

ყურძენს, უფრო სწორად კი, მის წიპწებს შეუძლია, მნიშვნელოვნად გაზარდოს ქიმიოთერაპიის ეფექტურობა ნაწლავების კიბოს დროს და ასევე შეამციროს ამ პროცედურის გვერდითი მოვლენები, — აცხადებენ სწავლულები. „საიდუმლო“ კი წიპწებში არსებული ანტიოქსიდანტები და პოლიფენოლებია, რომელსაც ანთებისა და კიბოს საწინააღმდეგო თვისებები აქვს. მეცნიერები აცხადებენ, რომ წიპწებისგან მიღებული ექსტრატი აქვეითებს ორგანიზმში ანთებას და ნაწლავებში არსებულ დაზიანებას. ქიმიოთერაპიისას პრეპარატები დაზიანებულ და ჯანმრთელ უჯრედებს ვნებს, ამ ექსტრატის მიღება კი უკუეფექტს ამცირებს. სპეციალისტების განცხადებით, ყურძნის წიპწების ექსტრატის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ სიმსივნის ამ სახეობისას, არამედ ნაწლავების სხვა დაავადებების თერაპიის დროსაც.

კბილები თვითაღდგენას დაექვემდებარება

ინდოეთის მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტის წარმომადგენლებმა სამსჯავროზე ახალი აღმდგენი ტექნიკა გამოიტანეს, რომლის წყალობითაც დაზიანებული კბილის მკურნალობა ტკივილისა და დიდი ფინანსური ხარჯის გარეშეა შესაძლებელი. ტექნიკა SealBio-ს სახელითაა ცნობილი და პაციენტის ღეროვანი უჯრედების გამოყენებას გულისხმობს, რაც აღარ საჭიროებს კბილის ღია არხის „დაცემენტებას“. ინდოელი სწავლულები გვთავაზობენ ღეროვანი უჯრედების სტიმულირებას, რომლებიც დაზიანებული კბილის ფესვებთანაა განლაგებული. რამდენიმე კვირის ან ზოგ შემთხვევაში, თვის განმავლობაში კბილის არხში საკმარისი ქსოვილი ჩნდება და არხი საბოლოოდ იკეტება. ახალი პროცედურა წარმატებით გამოსცადეს ათობით პაციენტზე და მეთოდის უსაფრთხოება 5-წლიანი მუშაობისას დადასტურდა.

ბიჭებსა და გოგონებს განსხვავებული კვება სჭირდებათ

პედიატრები აცხადებენ, რომ ხელოვნურ საკვებს, რომელსაც ჩვილებს ვაძლევთ, თავის „საიდუმლო“ აქვს: თუ ბიჭი გყავთ, უნდა იცოდეთ, რომ მას მეტი ცხიმი სჭირდება, გოგონებისთვის კი დიდი რაოდენობით კალციუმია საჭირო. ჰარვარდელი დოქტორის, კეტი ჰინდის განცხადებით, რძის საკვების მომზადებისას, ბავშვის სქესი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ასეთი დასკვნა კი მას შემდეგ გაკეთდა, რაც მაიმუნებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას აღმოჩნდა, რომ, თუ დედა-მაიმუნი მამრ ჩვილს აჭმევდა, მისი რძე უფრო ცხიმიანი და ცილებით გაჯერებული იყო, მდედრისთვის გაღებული რძე კი დიდი რაოდენობით კალციუმს შეიცავდა. დოქტორი აცხადებს, რომ პატარებისთვის ხელოვნური საკვები ყურადღებით უნდა შევარჩიოთ შემადგენლობის მიხედვით.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	8	3	1	2	5	4	9	7
5	7	2	9	4	6	8	3	1
4	1	9	8	3	7	6	5	2
3	4	8	5	6	2	7	1	9
2	6	1	7	9	8	5	4	3
9	5	7	4	1	3	2	8	6
1	3	6	2	5	4	9	7	8
8	9	4	6	7	1	3	2	5
7	2	5	3	8	9	1	6	4

სტანდარტი

1	7	6	5	4	3	2	9	8
8	9	3	7	6	2	4	5	1
5	4	2	1	9	8	3	6	7
7	6	5	2	1	4	9	8	3
9	3	1	8	7	6	5	4	2
2	8	4	3	5	9	1	7	6
4	2	9	6	8	1	7	3	5
3	5	8	9	2	7	6	1	4
6	1	7	4	3	5	8	2	9

რთული

2	8	9	7	6	5	4	3	1
3	7	1	8	2	4	6	9	5
6	5	4	3	1	9	2	7	8
7	3	6	5	9	2	1	8	4
1	4	5	6	3	8	9	2	7
9	2	8	1	4	7	5	6	3
8	9	3	4	5	6	7	1	2
5	6	7	2	8	1	3	4	9
4	1	2	9	7	3	8	5	6

ექსპერტი

3	7	2	1	8	9	4	6	5
1	6	9	7	5	4	8	3	2
8	5	4	3	6	2	7	1	9
9	1	8	4	7	6	5	2	3
6	3	7	5	2	1	9	8	4
4	2	5	9	3	8	1	7	6
2	9	6	8	4	7	3	5	1
7	4	3	6	1	5	2	9	8
5	8	1	2	9	3	6	4	7

მე-12 გვერდი: 1. კამამბერი; 2. რკო; 3. არკა; 4. ანკარა; 5. კურტიზანი; 6. მაყვალა; 7. სერ; 8. ნოტარიუსი; 9. აგნი; 10. აბიო; 11. ესე; 12. საკურა; 13. ჰარამხანა; 14. სტინგი; 15. მარში; 16. ტურა; 17. აფრიკაანსი; 18. კლივლენდი; 19. ვალერი მელაძე; 20. ჰაე; 21. ატლანტი; 22. ალაფი; 23. ერე; 24. ერესი; 25. პიასტრი; 26. ლუკ; 27. ელბა; 28. სპურტი; 29. ივლისი; 30. თმა; 31. ბაო; 32. სიტე; 33. იაგანი; 34. გალიერა; 35. ნამგალი; 36. პიზა; 37. მაკელელე; 38. ლომი; 39. ბაიკალი; 40. ოდესა; 41. „ონა“'; 42. განძი; 43. ნატი; 44. ენა; 45. აპლომბი; 46. შონ; 47. ზედაშე; 48. ლია; 49. იო; 50. აბაშეთი; 51. უბე; 52. ანტანტა; 53. როლი; 54. ბილ; 55. ლა; 56. სტილი; 57. დინარი; 58. მანილა; 59. ასაგაი; 60. აბა; 61. გუშინ; 62. ალოე; 63. ელია; 64. კიი.

1. ცივი იარაღი, თითებზე წამოსაცმელი ლით. ფირფიტა
2. ჩვილის თავის ქალას ნაკერების შეერთებული ქსოვილი
3. თუშების, ფშავლების და ხევსურების წარ. ღვთაება
4. მდინარე სამხრეთ აფრიკაში
5. გადაჭარბებ. გულჩვილობა, ზედმეტი გრძნობიერება
6. ინტერიერ-ის ანტონიმი
7. თავის ქალას ზედა ნაწილი
8. ფერწერის ჟანრი
9. კორნეი ჩუკოვსკის ვეტერინარი
10. უდაბნო პერუში
11. მონტე-კრისტოს ტიტული
12. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
13. საზოგადოების რჩეული ნაწილი
14. ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური პრემია
15. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
16. თვითმფრინავის კიბე
17. ფრანგი მწერალი ონორე დე ...
18. მამალი დაუკოდავი თხა
19. სახის გამომეტყველება, შესახედაობა
20. სამთა სამხედრო კავშირი ძველ რომში
21. ისრის წვერი
22. ესპანელი პოეტი და მწერალი
23. დღეის მომდევნო დღეს ანუ ...
24. თავისუფალი ქცევის ქალი ძველ საბერძნეთში
25. სადღესასწაულო ნამცხვარი
26. შოლომ-ალეიხემის „მერძევე ...“
27. ვერტმფრენის სახელწოდება ევროპაში
28. სასადილო იტალიაში
29. ინგლისური სქელი ლუდი
30. ფართობის ერთეული, ჰექტრის მეასედი
31. დიდი ჯოხი
32. ღვთისმშობელი მარიამის მამა
33. იგივეა, რაც ათასწლეული
34. ჭიპის ირგვლივი კანის და კანქვეშა ქსოვილების ანთება
35. ირლანდიის რესპუბლიკური არმია (შემოკლ.)
36. ჯინსების ამერიკული ბრენდი
37. დირიჟორის სამოსი
38. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
39. სოფელი ყაზბეგის რაიონში
40. ცხენის კუდის ბეწვი
41. აინშტაინის მშობლიური ქალაქი გერმანიაში
42. ბუჩქოვანი მცენარე წვრილი ნაყოფით
43. ტროას მეორე სახელწოდება
44. მღვდლის სამოსი
45. ცხენბურთის სახელწოდება ევროპაში
46. შეერთება, განზოგადება
47. ოსური ცეკვა
48. სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდებულება
49. აზელილი ბოსტნეულის კერძი
50. სიტყვის წინსართი, აღნიშ. საწინააღმდეგოს
51. ბარონ მიუნჰაუზენის ლიტერატ. „მამა“
52. რაიმე უპირატესობის მიცემა თავისზე სუსტი მოწინააღმდეგისათვის
53. საანგარიშო დაფა ძველ საბერძნეთში
54. ფრანგული ყურძნის ჯიში
55. ფიჭის უჯრედში დაგროვილი ყვავილის მტვერი, რომლითაც ფუტკარი იკვებება
56. სპარსეთის თანამედროვე სახელწოდება
57. სასულთნო აზიაში
58. ლეონარდო და ვინჩის სურათი „მადონა ...“
59. საყანედ გაკაფული ტყე
60. დირიჟაბლების ცნობ. იტალ. კონსტრუქტორი
61. საერთაშორისო გამოფენა ორ წელიწადში ერთხელ
62. გაზაფხულის ყვავილი
63. ინგლ. მუსიკოსი ... კოლინზი
64. სპორტ. ინვენტარი
65. ქალაქი საფრანგეთში
66. ბასკ ტერორისტთა ორგანიზაცია
67. ეთიოპიის ფულის ერთეული
68. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
69. ცალთვალა გოლიათი ბერძნულ მითოლოგიაში
70. ცნობილი შვედური კვარტეტი
71. პოეტური გამოცანა
72. სარწყავად გაყვანილი პატარა არხი
73. ამერიკელი მუსიკოსი ... ჩარლზი
74. იგივეა, რაც ექსპერიმენტი
75. რუსი ილუზიონისტი
76. „სამსუნგის“ მობილური ტელეფონის მარკა
77. ქართული ანბანის მე-17 ასო
78. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი

უსახლკაროს ლატარიაში გაუმართლა

უნგრელმა უმუშევარმა და უსახლკარო მამაკაცმა, რომელიც თითქმის ერთი წელი ქუჩაში ცხოვრობდა, ბედის გამოცდა გადაწყვიტა და უკანასკნელი გროშებით ლატარიის ბილეთი იყიდა. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: ფორტუნამ მას 2,1 მილიონი ევრო აჩუქა. ლატარიის გამარჯვებული 54 წლის ლასლო ანდრაშეკია, რომელმაც ბილეთი მანამდე შეიძინა, ვიდრე ალკოჰოლიზმთან მებრძოლთა კლუბში მივიდოდა. შემთხვევით შერჩეულმა ციფრებმა უნგრელს უზარმაზარი ქონება შესძინა. ამ სასიხარულო ამბით გაოგნებულმა კი თავიდან ვერ მოიფიქრა, რაში დაეხარჯა ამდენი ფული, მოგვიანებით მან ოჯახის ვალი გადაიხადა და შვილებს მანქანები უყიდა. როგორც ახლადგამომცხვარი მილიონერი ამბობს, ამ მოგებამ არ შეცვალა და აპირებს, ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საქველმოქმედო ფონდი ჩამოაყალიბოს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.